92 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

92 წელი თქვენთან ერთად!



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №15-16 (7139) 4 აგვისტო, 2025 წელი

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში ☞2

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან ☞2

როგორ სრულდება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი ☞3

მომავალი თაობების მსახურებაში განვლილი წლები
ნახშირღელის საჯარო სკოლა –130
კვახჭირის საჯარო სკოლა 111 წლისაა ☞4

„ომის ღმერთი“ ანუ ფესტივალის გამარჯვეული სპექტაკლი მაყურებლის თვალით ☞10

„თერჯოლის“ ამ ნომერთან (№15-16, 5 აგვისტო, 2025 წ.) ერთად, მოითხოვეთ 2025 წლის 5 აგვისტოს „თერჯოლის“ სპეციალური გამოშვება „დედის ლოცვა“

ზაფხულის ცხელ დღეებში

ზაფხულის ცხელ დღეებში, თერჯოლასა და მის სოფლებში არაერთი საინტერესო ღონისძიება მოეწყო, რაც თერჯოლის თვითმმართველობის, მუნიციპალიტეტის და მისი შესაბამისი სამსახურების სასარგებლოდ მეტყველებს.

ჩვენი გაზეთის ამ ნომრის გამოსვლამდე ბოლო ასეთი ღონისძიება იყო თერჯოლაში სახელგანთქმული ჯგუფის Boney-M განახლებული შემადგენლობის კონცერტი გაიმართა. ჯგუფმა თერჯოლაში შეკრებილი საზოგადოებისთვის ის კომპოზიციები გააჟღერა, რომლებიც ათწლეულებია ოქროს ჰიტებად იქცა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

აღსანიშნავია, რომ ჯგუფი Boney-M ჰიტებმა, 70-80 წლების ყველა მუსიკალური სივრცე დაიპყრო და ისინი დღემდე ინარჩუნებენ პოპულარობას სხვადასხვა თაობის მსმენელში. საღამოს, საინტერესო პროგრამით მაყურებლის წინაშე ასევე წარსდგა ანსამბლი „სინ-

გლი“. თერჯოლაში დაუვიწყარ საღამოს ასობით ადგილობრივი და ჩამოსული სტუმარი ადევნებდა თვალს. ყველასთვის ნაცნობმა მუსიკამ და საყვარელმა სიმღერებმა ერთი განსაკუთრებული და დასამახსოვრებელი მუსიკალური საღამო აჩუქა მსმენელს.

კონცერტი ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლების ფინანსური მხარდაჭერით და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ორგანიზებით ჩატარდა.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ღონისძიებები, რომლებიც მუნიციპალიტეტის ადმინისტაციულ ერთეულებში ჩატარდა. ამ მხრივ გამორჩეულად აღსანიშნავია ძევრელთა აქტიურობა.

ამჯერად, ჩვენს მე-7 და მე-11 გვერდებზე თქვენს ყურადღებას ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტზე და საფეხბურთო ტურნირებზე გავამახვილებთ.

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში

მხარდაჭერა დევნილებს

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ გიორგი ჯინჭარაძემ მუნიციპალიტეტების მერებთან სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრის ფარგლებში, მთავრობის თავმჯდომარემ სახელმწიფო რწმუნებულს რეგიონში მცხოვრებ დევნილებზე ზრუნვისა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა და იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერის პროცესში ადგილობრივი ხელისუფლების მნიშვნელოვან როლზე ისაუბრა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო დაგეგმილ პროექტებს, რომელთა მიზანია ინტეგრაციის ხელშეწყობა, დევნილთა სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და მათთვის ღირსეული ცხოვრების პირობების შექმნა.

მხარეებმა დევნილთა მხარდაჭერის საკითხები განიხილეს და სამომავლო ურთიერთთანამშრომლობის გაღრმავებაზე ისაუბრეს, რაც აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული მოსახლეობის მხარდაჭერაზე იქნება ორიენტირებული.

შეხვედრაში აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს იმერეთის ტერიტორიული ორგანოს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ინფრასტრუქტურული პროექტები „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა“

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა ლევან ზალკალიანმა 12-ვე მუნიციპალიტეტის მერთან შეხვედრა გამართა. შეხვედრაზე ისაუბრეს სოფლის მხარდაჭერის პროგრამების მიმდინარეობაზე, ინფრასტრუქტურულ პროექტებსა და არსებულ გამოწვევებზე.

შეხვედრაზე, ხაზი გაესვა დაგეგმილი პროექტების ვადებში და ხარისხიანად შესრულების აუცილებლობას. ასევე, ყურადღება დაეთმო იმერეთში არსებულ სოციალურ პროგრამებს და იმ პროექტებს, რომლებიც სპორტის, კულტურისა და ახალგაზრდობის ხელშეწყობის მიმართულებით ხორციელდება.

დღესვე, იმერეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაციის (DMO Imereti) საბჭოს მუშაობის შესახებ მოისმინეს ინფორმაცია.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილეები: მამუკა ხიმშიაშვილი, ბესიკ გოფოძე, გრიგოლ დალაქიშვილი ესწრებოდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

რუბრიკით: „ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან“ გთავაზობთ წერილებს, რომლებიც მომზადებულია საჯაროდ გამოქვეყნებული ინფორმაციების საფუძველზე.

საგზაო ინფრასტრუქტურა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ სოფელ ქვედა ალისუბანში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოები დაათვალიერა. ინფრასტრუქტურული პროექტი რგფ-დან ადვილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით

მიმდინარეობს. სოფ. ქვედა ალისუბანში აბისინიასთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში მოეწყობა არმირებული ბეტონის საფარი და სანიაღვრე არხები. სამუშაოებს ასრულებს შპს „უნივერსალ ჯორჯია", ღირებულება შეადგენს 355000 ლარს, პროექტი გარდამავალია და დას-

რულდება მომავალ წელს. პროექტის მონიტორინგზე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ჯემალ ისაკაძე, მერის მოადგილე ზვიად ბაზაძე და სოფელ ალისუბნის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.

ხელშეწყობა მიწის სისტემურ რეგისტრაციას

24 ივლისს, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები, თერჯოლის მერს, მანუჩარ რობაქიძეს, მერის მოადგილეებს და ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე იმსჯელეს მიწის სისტემურ რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

მუნიციპალიტეტის მერმა სრული მხარდაჭერა აღუთქვა სამინისტროს წარმომადგენლებს, მანუჩარ რობაქიძემ აქცენტი გააკეთა პროცესის წარმატებით დასრულების განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე. სააგენტოს წარმომადგენლებმა მიწის სისტემური რეგისტრაციის ტექნიკური ასპექტები განმარტეს და მერის წარმომადგენლების კითხვებს უპასუხეს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტში მიწის სისტემური რეგისტრაციის პროცესი აქტიურად გრძელდება.

იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტში (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა და თვითმმართველი ქალაქებისა) სისტემური წესით ეტაპობრივად ზომავს და კერძო, სახელმწიფო ან მუნიციპალურ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს არეგისტრირებს.

„ძერულის“ ახალი სიცოცხლე

იმერეთს კიდევ ერთი საინტერესო, ორიგინალური და ატმოსფერული სივრცე შეემატა—2025 წლის 20 ივნისს, თერჯოლის რაიონის სოფელ ძევრში, კომპლექს „ძერულის“ ტერიტორიაზე ივენთ ჰოლი გაიხსნა.

„ძერული ივენთ ჰოლის“ საქმიანობა რამოდენიმე მიმართულებას მოიცავს, რომლის ფარგლებშიც რეგულარულად მოეწყობა: მუსიკალური საღამოები, თეატრალური წარმოდგენები, ხელოვნების ფესტივალები, პოეზიის საღამოები, მხატვრების პლენერები და გამოფენები, ახალგაზრდა შემოქმედთა შეხვედრები, სხვადასხვა შინაარსის ტრენინგები და მასტერ კლასები.

სექტემბრის თვიდან უფროსკლასელთათვის ამოქმედდება საკვირაო სკოლა, რომელიც ბევრ საინტერესო პროგრამას შესთავაზებს თერჯოლის რაიონის მოსწავლეებს.

როგორ სრულდება მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

2025 წლის პროგრამული ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მოკლე მიმოხილვა

ჩვენი გაზეთი ტრადიციულად გთავაზობთ მოკლე მიმოხილვას მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობის შესახებ. ამჯერად გაგაცნობთ 6 თვის შედეგებს, რაზედაც მერიის საფინანსო სამსახურის ხელმძღვანელი ავთანდილ ურიადმყოფელი გვესაუბრება.

ჩვენი თხოვნით ის ყურადღებას ბიუჯეტის საერთო შესრულებასთან ერთად, დაწვრილებით მის ორ მთავარ პრიორიტეტზე—ინფრასტრუქტურასა და სოციალურ პროგრამებზე გაამახვილებს.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი დამტკიცებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ 2024 წლის 4 დეკემბრის N18 დადგენილებით - 20650.0 ათასი ლარის ოდენობით (საკუთარი შემოსავლები 20350.0 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 300.0 ათასი ლარი).

2025 წლის 1 იანვრისათვის ნაშთი შეადგენდა 228.0 ათას ლარს. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 119.0 ათას ლარს და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავალი 109.0 ათას ლარს.

2025 წლის ორი კვარტლის განმავლობაში ბიუჯეტის ცვლილება 9-ჯერ განხორციელდა (მერის ბრძანებით 4-ჯერ და საკრებულოს მიერ 5-ჯერ). ბიუჯეტის მთლიანი საპროგნოზო მოცულობა განისაზღვრა 31792.6 ათასი ლარით (საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 24128.4 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 10038.9 ათასი ლარი).

2025 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიური შემოსულობები 19875.0 ათას ლარს, ხოლო ფაქტიური გადასახდელები 17937.2 ათას ლარს შეადგენს. 2025 წლის პირველი ივლისისათვის ნაშთი დარჩა 1937.8 ათასი ლარი. მათ შორის: საკუთარი (ადგილობრივი) შემოსავლები 1866.4 ათასი ლარი და სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან 74.1 ათასი ლარი.

ახლა კი 6 თვის ფაქტიური შესრულების შესახებ.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიურმა შემოსავლებმა 19875.0 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (17980.0 ათასი ლარი) 110,5%-ია.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ორი კვარტლის ფაქტიურ შემოსავლებში (19875.0 ათასი ლარი), საგადასახადო შემოსავლების ხვედრითი წილი 10332.1 ათას ლარს, ანუ 52,0 %-ს შეადგენს. არასაგადასახადო (სხვა) შემოსავლების ხვედრითი წილი -950.3 ათას ლარს, ანუ 4,8 პროცენტს. სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით მიღებული შემოსავლები -8153.5 ათას ლარს, ანუ 41,0 %-ს. არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შეადგენს 211.1 ათას ლარს, ანუ 1,0 %-ს.

ბიუჯეტის შემოსავლების ანალიზიდან ჩანს, რომ 2025 წლის ორი კვარტლის ფაქტიურ შემოსულობებში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აკუმულირებული შემოსავლებიდან მნიშვნელოვანი ხვედრითი წილი 10332.1 ათასი ლარი (52,0%) საგადასახადო შემოსავლებს უჭირავს. ქონების გადასახადის სახით ჩარიცხულია 2702.2 ათასი ლარი. დამატებული ღირებულების გადასახადის სახით ჩარიცხულია 7629.9 ათასი ლარი.

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხული თანხებიდან, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიზნობრივი ტრანსფერის სახით ჩარიცხულია 1091.8 ათასი ლარი. ფინანსური დახმარება ჩარიცხულია 1950.0 ათასი ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ჩარიცხულია 4919.4 ათასი ლარი. სოფლის მხარდაჭერის პროგრამებისათვის ჩარიცხულია 35.0 ათასი ლარი. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების 157.3 ათასი ლარი.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის ორი კვარტლის გადასახდელების გეგმა შეადგენდა 17980.0 ათას ლარს. ფაქტიურად, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი დაფინანსებულია 17937.2 ათასი ლარით, ანუ გეგმა შესრულებულია 99,8%-ით.

რაც შეეხება ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ინფრასტრუქტურა საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 6199.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,8 პროცენტია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიმდინარე სამუშაოები მოიცავდა ასფალტირებული ქუჩების დაზიანებული მონაკვეთების აღდგენა- რეაბილიტაციას, არაასფალტირებული ქუჩების გრუნტის საფარის მოსწორებას და მოხრეშვა-მოშანდაკებას; სტიქიური მოვლენების პრევენციის მიზნით, სამუშაოების ჩატარებას. სამუშაოები განხორციელდა საგზაო ინფრასტრუქტურის სხვა მონაკვეთებზეც.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის N1955 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტში დაფინანსდება: სოფ. ზედა სიმონეთში აბჟანდაძეების უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 362.7 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 362.7 ათასი ლარი. ქ.თერჯოლაში პუშკინის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 64.1 ათასი ლარით, მიმდინარე

პერიოდში ათვისებულია 64.1 ათასი ლარი. დ. კლდიაშვილის სახლმუზეუმის ასფალტოვანი გზიდან სოფ. სათემოს ეკლესია -აბულაძეების უბნამდე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 92.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 92.4 ათასი ლარი. სოფ.რუფოთში, ჭანკვეტაძეების უბანში მდებარე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 233.7 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 233.7 ათასი ლარი. სოფ. ახალთერჯოლაში ცენტრალური საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 131.3 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 131.1 ათასი ლარი. სოფ. თუზში ჩაფიჩაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 240.5 ათასი ლარი. სოფ. ჩხარში ამირანაშვილების მუზეუმთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 224.4 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 224.4 ათასი ლარი. ქვ. ალისუბანი - მაჩიტაურის დამაკავშირებელი 3 კმიანი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 220.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 220.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში მემანიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 35.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 35.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში ყაზაიშვილების უბნის გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 80.8 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 80.8 ათასი ლარი. სოფ. ნახშირღელეში ხორხის უბანთან დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 235.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 235.5 ათასი ლარი. სოფ. კვახჭირში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 72.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 72.6 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილი გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/რეაბილიტაცია დაფინანსდება 231.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 231.6 ათასი ლარი. სოფ. საზანოში ჩიხორი შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 240.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 240.5 ათასი ლარი. სოფ. ჩხარი ზედა ალისუბნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. სოფ. ბარდუბანში ავტობანიდან ვერულაშვილები-ბოჭორიშვილები-გრძელლიძეების უბნის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 198.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 198.5 ათასი ლარი. სოფ.ზედა საზანოში გიორგაძეების უბანში გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 247.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 247.0 ათასი ლარი. სოფ. თუზში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 247.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 2417.0 ათასი ლარი. ქ. თერჯოლაში მაკაბერიძის ქუჩაზე არსებული გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 123.6 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 123.6 ათასი ლარი. სოფ. ღვანკითი-ტელეფას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. თერჯოლა-ახალთერჯოლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 250.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 250.0 ათასი ლარი. თერჯოლის მუნიციპალიტეტში სოფ. გოდოგანში საავტომობილი გზის და საყრდენი კედლების მოწყობა/ რეაბილიტაცია 3 ეტაპი დაფინანსდება 213.5 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 213.5 ათასი ლარი. სოფ. სიქთარვაში ცხადაძეების უბნის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები დაფინანსდება 94.9 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 94.9 ათასი ლარი. სოფ. ეწერში ახალ უბანში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 200.0 ათასი ლარი. სოფ. ეწერში საავტომობილო გზის რეაბილიტაცია დაფინანსდება 200.0 ათასი ლარით, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 200.0 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის N186 განკარგულებით, თერჯოლის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოეყო დაფინანსება 1800.0 ათასი ლარი, მიმდინარე პერიოდში ათვისებულია 67.5 ათასი ლარი.

რაც შეეხება სოციალური დაცვის პროგრამებს, ამ მხრივ მაათი შესრულების მდგომარეობა ასეთია:

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ახალშობილთა ოჯახების ფინანსური დახმარება, გაცემულია 26900 ლარი. **2.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე სოციალურ პირობებში მყოფი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება. გაცემულია 149750 ლარი. **3.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის თანადაფინანსება. აღნიშნულით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეების სამედიცინო მომსახურეობის (გარდა პლასტიკური ოპერაციებისა) ღირებულების ანაზღაურების თანადაფინანსება, გაცემულია 179924 ლარი. **4.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი ბენეფიციარების სოციალური დახმარება, გაცემულია 840 ლარი. **5.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ეპილეფსიით, ან პარკინსონით დავადებულ ბენეფიციართა სოციალური დახმარება, გაცემულია 29200 ლარი. **6.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული პირველი ჯგუფის უსინათლოთა სოციალური დახმარება, გაცემულია 26800 ლარი. **7.** უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებითი საცხოვრებელი ბინით (ქირით) უზრუნველყოფა, გაცემულია 39700 ლარი. **8.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებული ბენეფიციარების სოციალური დახმარება, გაცემულია 56400 ლარი. **9.** ფელილკეტონურიით და ცელიაკიით დაავადებულთა ოჯახების დახმარება, გაცემულია 9000 ლარი. **10.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე დიაბეტით დავადებულ ბავშვთა ოჯახების ფინანსური დახმარება, გაცემულია 9000 ლარი. **11.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 18 წლამდე შშმ პირთა სარეაბილიტაციო მომსახურეობის პროგრამა, გაცემულია 1750 ლარი. **12.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სოციალური დახმარება. გაცემულია 34000 ლარი. **13.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი უნარშეზღუდული ბავშვების დღის ცენტრების დაფინანსება. გაცემულია 15000 ლარი. **14.** სადღესასწაულო დახმარება გაცემულია 8342 ლარი. **15.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მძიმე ჯანმრთელობასა და სოციალურ მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეებზე საკვები პროდუქტებით დახმარება, გაცემულია 45840 ლარი. **16.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სახლდაზიანებული მოქალაქეების დახმარების პროგრამა. აღნიშნული ითვალისწინებს სტიქიური და სხვა მოვლენების შედეგად სახლდაზიანებული ოჯახების დახმარება გაცემულია 33600 ლარი. **17.** უპატრონო მიცვალებულის სარიტუალო მომსახურეობა, გაცემულია 1400 ლარი. **18.** საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის ომში დაღუპულთა ოჯახების ფინანსური დახმარება არ გაცემულა. **19.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ომის ვეტერანების ოჯახების სარიტუალო დახმარება. აღნიშნული ღონისძიება ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში, კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას. თითოეულ გარდაცვლილ ომის ვეტერანზე—250 ლარის ოდენობით, რომელიც ამ პერიოდისათვის არ არის გაცემული. **20.** თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერა და გაძლიერება, გაცემულია 12250 ლარი. **21.** მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის პროგრამა გაცემულია 6270 ლარი. **22.** სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის შეშით დახმარება, გახარჯულია 5520 ლარი.

გარდა სოციალური პროგრამებისა, ასევე მერის სარეზერვო ფონდიდან გაჭირვებულ მოქალაქეებზე გაცემულია 110.7 ათასი ლარი.

ჩვენს შეკითხვაზე თუ როგორია პროგნოზები მიმდინარე წლის მთლიანი ბიუჯეტის შესრულების უზრუნველყოფის თვალსაზრისით, რადგან როგორც ვიცით ზოგიერთ მეზობელ რეგიონში ამ მხრივ გარკვეული პრობლემებია, ბატონმა ავთანდილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოსათვის, საერთოდ თვითმმართველობის სამსახურებისათვის ასეთი რამ კატეგორიულად მიუღებელია და ისინი, პირადად და თანამშრომლებთან ერთად, სამსახურებთან კოორდინაციაში მაქსიმუმ ძალისმევას მოახმარენ, რომ ბიუჯეტის პროგრამოით განსაზღვრული ყველა მიმართულება დააფინანსდეს სრულად.

ჩვენც ასეთი იმედი გვაქვს...

მომავალი თაობების მსახურებაში განვლილი წლები

ამ ზაფხულს, თერჯოლის მუნიციპალიტეტის ორმა საჯარო სკოლამ აღნიშნა მნიშვნელოვანი თარიღები.

გთავაზობთ ინფორმაციებს, რომლებიც ნახშირღელისა და კვახჭირის საჯარო სკოლებიდან მოგვაწოდეს.

ნახშირღელის საჯარო სკოლა –130

1879 წელს, ილია ჭავჭავაძის, იაკობ გოგებაშვილის, დიმიტრი ყიფიანისა და სხვა პატრიოტ მამულიშვილთა თაოსნობით, გარუსების გზაზე შემდგარი

საქართველოს გამოსაფხიზლებლად და მომავალი თაობის გადასარჩენად, შეიქმნა წერა–კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომლის წევრების თაოსნობით მთელ საქართველოში დაიწყო სასწავლებლების გახსნა, სადაც ქართველ ახალგაზრდობას უფასოდ ასწავ-

ლიდნენ ქართულ წერა-კითხვას, რაც გიმნაზიებში აკრძალული იყო.

ამ საზოგადოების დაარსებიდან რამდენიმე წელში, 1895 წელს, სოფელ ნახშირღელეშიც დაარსდა ორკლასიანი სასწავლებელი, სოფლის მღვდლის ისიდორე დოღონაძის ინიციატივით. სკოლა მდებარეობდა ეკლესიის ეზოში. მღვდელი აქ ასწავლიდა 1898 წლამდე უფასოდ. 1906 წელს სკოლა გადასულა სახელმწიფო განკარგულებაში და ოთხკლასიანი გამხდარა. ზედამხედველი, ასევე მასწავლებელი ყოფილა ივანე ვირსალაძე. 1906 წელს იგი შეუცვლია ტარიელ დოღონაძეს, რომელიც 1913 წლამდე მუშაობდა ამ სკოლაში.

1913 წელს სკოლა გახდა რვაკლასიანი სასწავლებელი, კალე ნიკოლაძის ინიციატივით.

1960 წელს სკოლა გადაკეთებულა ათწლიან სასწავლებლად შალვა ხუჯაძის დირექტორობის დროს.

სხვადასხვა დროს სკოლას ხელმძღვანელობდნენ ღირსეული მამულიშვილები: მიშა კრავიშვილი, ჟორა კახიძე, საშა მელუავა, ნინელი სულამანიძე, თემურ ნიკოლაძე, ქართლოს ჭუმბურიძე. სკოლა აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა საგანმანათლებლო ღონისძიებებში.

სკოლამ ღირსეულად აღნიშნა სოფელში სკოლის არსებობის 130 წლის იუბილე. ღონისძიებას ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი ნინო ოქრუაძე, მერიისა და საკრებულოს სხვა წარმომადგენლები, სკოლების დირექტორები, მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლობა სოფელში, მოწვეული პენსიონერი პედაგოგები.

საიუბილეო საღამო გაალამაზა სასკოლო საზოგადოებამ, მონაწილე მოსწავლეებმა, პედაგოგებმა და სკოლის კურსდამთავრებულებმა. ყველა ბედნიერნი, ლაღნი და ამაყნი იყვნენ, რადგან მათ სოფელში, სკოლას არსებობის საუკუნეზე მეტი ისტორია აქვს.

ვაჟა ბუიღლიშვილი,
სკოლის დირექტორი

კვახჭირის საჯარო სკოლა 111 წლისაა

2025 წლის 12 ივნისს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ კვახჭირის საჯარო სკოლაში აღინიშნა სკოლის 111 წლის იუბილე. იუბილეზე მოსულმა სტუმრებმა ჩამოიარეს „ეპოქის თაღი“, სტუმრების თვალწინ გავაცოცხლეთ ისტორია მე-20 საუკუნის 20-30-იანი წლებიდან დღემდე, დაათვალიერეს ფოტომატიანე და გადაინაცვლეს სადღესასწაულო სივრცეში. ღონისძიება გახსნეს დაწყებითი კლასების ბავშვებმა ფლეშმობით სიმღერაზე- „ანო და ვანო“, შემდეგ კი ასპარეზი გადაულოცეს უფროსკლასელებს, პედაგოგებს და კურსდამთავრებულებს. აკადემიური ნაწილი მიმდინარეობდა სკოლის ისტორიის, წარმატებული მოსწავლეების და მასწავლებლების მიღწევების აღნიშვნით.

საზეიმო ღონისძიებას მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, ადგილობრივი თვითმმართველობის, საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენლები, სკოლის დირექტორები და სასკოლო საზოგადოება დაესწრო.

111 წელი, სკოლა, რომელმაც ბევრი ქარტეხილი გამოიარა, თაობები დააფრთიანა, ლომის წილი ჩადო მათ პროფესიულ განვითარებაში. ესაა ადგილი, სადაც გიხარია მისვლა, შრომა, ფუსფუსი, კოლეგებთან შეხვედრა და მათი გამოცდილების გაზიარება. ვითარდები, უკეთესი ხდები. ადგილი, სადაც ყოველი დღე განსხვავებულია.

გასაოცარი ემოციაა, როდესაც შენც ამ დიდი ისტორიის ერთი პატარა რგოლი ხარ. საოცარი ადამიანები არიან შენს ირგვლივ, ყოფილი მასწავლებლები, უკვე კოლეგები, ასობით მოციმციმე თვალები, რომლებიც უკეთეს, ნათელ და ბედნიერ მომავალს ელიან. აქ, ყველა მუხლჩაუხრელად შრომობს, მაქსიმუმს აკეთებს, მომავალ თაობას უკეთესი არჩევანი შესთავაზოს!

111 წელი, 111 საოცარი თავგადასავალი, ძვირფასი ფურცლები სკოლის ისტორიაში. 111 ეს გზა და ჩვენი წვლილი არ შევიტანოთ მომავალი თაობების დაფრთიანების საქმეში.

ჩემთვის, ჩემი სკოლა ცოდნის ტაძარია!

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვეთება,

და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება“—თქვა ისტორიის პედაგოგმა თინათინ ყუფარაძემ.

შთაბეჭდილებები

„საუკუნეში ერთხელ მომხდარი ეს დღე- სასწაული... დღე,

რომელიც განსაკუთრებულ ადგილს იკავებს სასკოლო საზოგადოების წევრების გულში.. დღე, რისთვისაც განსაკუთრებული ემოციებით, სიხარულით, მოლოდინით და სიყვარულით ემზადებოდა ჩვენი სკოლის თითოეული პედაგოგი თავიანთ მოსწავლეებთან ერთად....

„უყურებ აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის ეზოში მდგარ სკოლის შენობას და ფიქრობ: რამდენ რამეს იტევს და ინახავს ეს კედლები, რამდენი ბავშვი აღზრდილა მის შიგნით და მის გარშემო, რამდენი მოსწავლის მოციმციმე თვალები უნახავს, როდესაც ცოდნის ტაძრის კარს შემოაღებდა და პირველ ნაბიჯებს შემოადგამდა მშობლიური სკოლის ეზოში...

მე არ ვიყავი ამ სკოლის მოსწავლე, თუმცა ვდგავარ ამ სკოლის პედაგოგებთან ერთად, მომავალი თაობის აღზრდის პროცესში.

-ჯერ დადებული ახალი აგური აკადემიკოს ალექსანდრე წულუკიძის სახელობის სკოლის საძირკველზე, უდიდესი შრომა და თავგანწირვა იმიერში მყოფი პედაგოგებისა. მათი მაგალითი არ გვაძლევს საშუალებას ჩვენც, მოქმედმა პედაგოგებმა ღირსეულად არ გავაგრძელოთ ქოს არ გვემატება და ვცდილობთ თითოეულის პიროვნულ განვითარებას შევუწყოთ ხელი სწავლა-სწავლების პროცესებთან ერთად.

ვულოცავ ამ თარიღს ჩვენს სკოლას, დირექტორს ქალბატონ ლია ჩხიკვაძეს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, მშობლებს და ყველა იმ ადამიანს, ვისაც ცოტაოდენი კავშირი ჰქონია კვახჭირის საჯარო სკოლასთან. გისურვებთ ყველას, კიდევ დიდხანს იარსებოს ამ სკოლამ და ბევრი თაობის აღზრდას შეუწყოს ხელი.

ყოველ დილით სიხარულით მოვიჩქარი ჩემს შვილებთან ერთად სკოლაში, იქ, სადაც მხვდება მეგობრული და თბილი გარემო, პროფესიონალების დიდი გუნდი, მუდამ გვერდით მდგომი ჩვენი სკოლის დირექტორი, გულანთებული ბავშვები რომელთა გვერდითაც ასაკი თითქოს არ გვემატება და ვცდილობთ თითოეულის პიროვნულ განვითარებას შევუწყოთ ხელი სწავლა-სწავლების პროცესებთან ერთად.

ამ განსკუთრებული დღისთვის მინდა მადლობა გადავუხადო ყველა პედაგოგს, ყველა მოსწავლეს, ყველა მშობელს და ყველა იმ ადამიანს, ვინც დაგვეხმარა რომ ეს დღე ასე გვეზეიმა.

განსაკუთრებული მადლობა თეა რიჟამაძეს ამ ყველაფრის დაგეგმისთვის და ჩვენს გუნდთან ერთად შრომისთვის. მიხარია, რომ გაგიცანით და ვითანამშრომლეთ“—წერს დირექტორის მოადგილე ეკა გუმბერიძე.

„დიდი შრომის, დიდი ბრძოლის, ბევრი წინააღმდეგობის, ბევრი ნერვიულობის, გადაღლილობის, ცოტა შიშის და რაც მთავარია ერთად ყოფნით გამოვიდა ის, რაც გამოვიდა. ეს იყო ის დღე, რომელიც საუკენეები გაჰყვება ჩვენი სკოლის ისტორიას.

ამ სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული ვარ და ვამაყობ, რომ ამ ღირსშესანიშნავი დღის ნაწილი ვიყავი.

დრო მიდის, კადრები კი გვრჩება ტკბილ მოგონებად“—წერს დაწყებითი კლასის მასწავლებელი თამუნა ჩხიკვაძე.

კვახჭირის საჯარო სკოლა

ორნი საქართველოდან...

სიქთარვის საჯარო სკოლის (დირექტორი ია კვატაია) ინგლისური ენის მასწავლებელი 2006 წლიდან, სოფიკო ვაშაკიძე კარგად არის ცნობილი არა მარტო თერჯოლის პედაგოგიური საზოგადოებისათვის, არამედ ქვეყნის განათლების სისტემისათვის. ამ სიტყვების თქმა არ არის ადვილი და პასუხისმგებლობას მოითხოვს, ამიტომ კიდევ ერთხელ გადავხედოთ სოფიკოს თითქმის ოცწლიან პედაგოგიურ გამოცდილებას.

სოფიკო მენტორია, მის საქმიანობას ახასიათებს პროფესიონალიზმი, სიახლეებისადმი ღიაობა და მუდმივი სწრაფვა თვითგანვითარებისაკენ. სოფიკო არა ერთ ეროვნულ და საერთაშორისო საგანმანათლებლო პროექტშია ჩართული. ის მოღვაწეობდა ბრიტანეთის საბჭოს მიერ აღიარებულ ტრენერად და არის etwinnig-ის პროგრამის აქტიური ელჩი. მას აქვს ამერიკაში და პოლონეთში მიღებული საერთაშორისო გამოცდილება, რამაც საშუალება მისცა საგაკვეთილო პროცესში წარმატებით გამოიყენოს ინოვაციური მიდგომები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება და ტექნოლოგიები, თანამშრომლობს „მშვიდობის კორპუსის“ ორგანიზაციასთან და ამერიკელ მოხალისე მასწავლებლებთან, რითაც მნიშვნელოვნად ეხმარება სკოლის საერთაშორისო დონეზე ინტეგრირებას.

კონფერენციაზე ნიცაში

2025 წლის მაისში სოფიკომ მონაწილეობა მიიღო საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ etwinning-ის კონფერენციაში, რომელიც ეძღვნებოდა მოქალაქეობრივი განათლების გაძლიერებას etwinnig-ის სკოლებში. კონფერენციას ესწრებოდა ასზე მეტი მასწავლებელი ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. საქართველოდან კონფერენციაში მონაწილეობდნენ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დემოკრატიული კულტურის, ადამიანების უფლებების სწავლების და სასკოლო ქსელების (etwinnig) კოორდინატორი თეონა სილაგაძე და ამავე

პროგრამაში ჩართული მასწავლებლები: სოფიკო ვაშაკიძე და სსიპ ქუთაისის მე-5 საჯარო სკოლის ინგლისური ენის და სსიპ მიხეილ ჯავახიშვილის სახელობის თბილისის №124 საჯაროს სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი მანანა ბაქრაძე.

გვესაუბრება სოფიკო ვაშაკიძე

„საინტერესო იყო კონფერენცია, რომელიც გაიმართა ონლაინ ფორმატშიც, რამაც უზრუნველყო მასში უფრო მეტი მასწავლებლის ჩართულობა. მონაწილეები თვალს ადევნებდნენ კონფერენციის მსვლელობას და ერთვებოდნენ დისკუსიებში.

ღონისძიება მიზნად ისახავდა etwinnig სკოლების შესაძლებლობების გაძლიერებას, რაც ხელს შეუწყობს მოქალაქეობრივი განათლების გაღრმავებას ცხოვრებაში. კონფერენციამ გააერთიანა სკოლის ხელმძღვანელები და გამოცდილი პედაგოგები etwinnig სკოლებიდან, რათა განეხილათ სტრატეგიები და გაეზიარებინათ საუკეთესო პრაქტიკები სკოლის კულტურის და მოქალაქეობრივი ინტეგრაციის შესახებ. ორი დღის განმავლობაში მონაწილეებმა იმსჯელეს, თუ როგორ უწყობს ხელს მოქალაქეობრივი განათლება მოსწავლეთა ჩართულობის ზრდას, ინკლუზიურობის განმტკიცებასა და დემოკრატიული ღირებულებების დაფასებას. მათ ისაუბრეს ეფექტურ მეთოდოლოგიაზე, როგორიცაა პროექტზე დაფუძნებული სწავლება და მნიშვნელოვნად მიიჩნიეს მოსწავლეთა აქტიურობის გავლენა სასკოლო კულტურის განვითარებაზე, კონფერენციამ ხელი შეუწყო ახალ პროფესიულ კონტაქტს და თანამშრომლობებს, რომელიც გააძლიერებს მომავლის საერთო პროექტს etwinnig პლატფორმაზე და გაამრავალფეროვნებს სასწავლო პრაქტიკას.

განათლება მომავალს აყალიბებს

სოფიკო ვაშაკიძის მონაწილეობა ნიცის კონფერენციაში იქცა გამოცდილებად, რომელიც მის მომავალ საქმიანობას ახალ ელფერს შემატებს. საერთაშორისო პროფესიულ გარემოში მიღებული ცოდნა და გაზიარებული იდეები მას შესაძლებლობას აძლევს კიდევ უფრო გააძლიეროს პროექტზე დაფუძნებული სწავლება etwinnig-ის სივრცეში. ამ გზით ის არა მარტო საკუთარ შესაძლებლობებს ავითარებს, არამედ ქმნის მოტივაციის წყაროს, როგორც კოლეგებისათვის, ისე მოსწავლეებისათვის. „სწორედ ასეთი გამოცდილებები აძლიერებს რწმენას, რომ განათლებაში ჩადებული ძალისხმევა ყოველთვის შედეგიანია—ის მომავალს აყალიბებს“—თქვა დასასრულს სოფიკომ.

ესაუბრა
ჟუჟუნა ცხადაძე

თერჯოლელი ხელოვანი ქალბატონები წიგნიდან: „კულტურის ფესვები“

წიგნის წინასიტყვაობაში „კულტურის ფესვები“, იდეისა და პროექტის ავტორი ნინო ნამგალაური მკითხველს აუწყებს: წინამდებარე წიგნი მოიცავს ინფორმაციას ორმოცი ქართველი ხელოვანი ქალბატონისა და მათი საქმიანობის შესახებ.

თითოეული მათგანი დაკავებულია სხვადასხვა სახის ხელთნაკეთი ნივთების დამზადებით.

აღნიშნულ კრებულში გაერთიანებული მეწარმეების ნამუშევრები გამოირჩევა ინდივიდუალიზმით, ეროვნული ელემენტებით და დახვეწილობით.

კრებულის შექმნა მიზნად ისახავს ღირსეული თვალსაჩინოების შექმნას როგორც საქართველოს, ასევე საქართველოს ფარგლებს გარეთ, ხელთნაკეთი ნივთებით დაინტერესებული პირებისათვის.

ვფიქრობთ ამ სახის კრებული მნიშვნელოვნად წინგადადგმული ნაბიჯია, როგორც საქართველოს, ასევე საქართველოში არსებული ხელსაქმეების პოპულარიზაციის საქმეში მსოფლიოს მასშტაბით.

„თერჯოლას“ მკითხველებს შესაძლებლობა ეძლევათ გაეცნონ ჩვენი ხელოვანი ქალბატონების ხათუნა გურულის და ანა გოგიაშვილის ნამუშევრებს, რომლებიც შესულია წიგნ-კატალოგში „კულტურის ფესვები“.

მე ვარ ხათუნა გურული, ვცხოვრობ თერჯოლაში. ჩემი პროფესიაა გამოყენებითი ხელოვნების მხატვარ-შემსრულებელი.

ამჟამად ვმოღვაწეობ ქ. თერჯოლის №1 საჯარო სკოლაში სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პედაგოგად, ამავდროულად ვარ თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის თექა-გობელენის კლუბის კოორდინატორი.

მონაწილეობა მიღებული მაქვს საერთაშორისო გამოფენებზე: თბილისში, ქუთაისში, ბათუმში, თურქეთში, ბაქოში, ბულგარეთში, კაბადოკიასა და საფრანგეთში. მიღებული მაქვს დიპლომები, სერთიფიკატები და მრავალფეროვანი ჯილდოები. ვარ საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი.

მე ვარ ანა გოგიაშვილი და დავიბადე ქუთაისში 1972 წლის 13 მაისს, პროფესიით ვარ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. ვქარგავ მხატვრული და ჯვარედინი ქარგვის ტექნიკით, ვქმნი დეკორაციებს ქვებით და სამკაულებს ბისერებით. ვასწავლი ქარგვას თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში.

მონაწილეობას ვიღებ გამოფენებში და ვარ ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი.

ორივე ამ ქალბატონს „თერჯოლას“ მკითხველთა წინაშე წარდგენა ნამდვილად არ სჭირდება, გამორჩეულნი და ცნობილნი არიან როგორც თავიანთი პროფესიით შესრულებული ნამუშევრებით, ასევე დიდ ძალისხმევას დებენ თითოეული აღსაზრდელისათვის ხელოვნების ამ სფეროში, როგორც ძველი ასევე თანამედროვე ნიმუშების გაცნობასა და შესწავლის საქმეში. ისინი ავსებენ და ალამაზებენ თერჯოლის მუნიციპალიტეტში კულტურის ეგიდით გამართულ თითქმის ყველა მნიშვნელოვან მასშტაბურ ღონისძიებას. გვიხარია და გვეამაყება თითოეული მათგანისათვის გადაცემული ჯილდო თუ დიპლომი, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევ საზღვარგარეთის ქვეყნებიდან. ორივე მათგანი საუკეთესო პედაგოგია და ხელოვნების მსახურებასთან ერთად კარგი ოჯახების დიასახლისი და ლამაზად შვილების აღმზრდელი დედაა.

მუდამ წარმატებულნი გვეყოლეთ ძვირფასო ქალბატონებო!

მზია ცქიფურიშვილი

ავთანდილ ბუცხრიკიძე—მეცნიერი, ლექტორი, თერჯოლის საპატიო მოქალაქე...

გასული წლის შემოდგომაზე, როცა თერჯოლა „თერჯოლობას“ ზეიმობდა, რამდენიმე ადამიანს თერჯოლის საპატიო მოქალაქის სტატუსი მიენიჭა, მათ შორის იყო ავთანდილ ბუცხრიკიძე.

საპატიო მოქალაქის წოდება ყოველწლიურად ენიჭება ადამიანებს, რომლებსაც განსაკუთრებული დამსახურება აქვთ მუნიციპალიტეტის წინაშე და წარმატებულნი არიან თავიანთ პროფესიულ საქმიანობაში. საპატიო თერჯოლელის ჯილდოზე აკაკი წერეთლის სახელობის ქ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, აკადემიკოს ავთანდილ ბუცხრიკიძის წარდგენას, რომელიც 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის 10 წიგნისა და 3 მონოგრაფიის ავტორია, ხანგრძლივი აპლოდისმენტები მოჰყვა.

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ავთანდილს თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე არც სამეცნიერო ხარისხი დაკლებია და არც თანამდებობები, რომელზეც მოგიყვებით აუცილებლად, თერჯოლის საპატიო მოქალაქეობას იგი განსაკუთრებული სიხარულით შეხვდა და მის მიერ მუნიციპალიტეტის მერიის, საკრებულოს და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მიმართ სამადლობელშიც ხაზგასმით აღნიშნა, რომ ეს ჯილდო—მშობლიური რაიონის საპატიო მოქალაქეობა იქნება განსაკუთრებით ღირებული, საამაყო და საპასუხისმგებლო მთელი მისი ცხოვრების მანძილზე...

ავთანდილ ბუცხრიკიძე ქ. თერჯოლაში დაიბადა, წარჩინებით დაამთავრა თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, შემდეგ კი ასევე წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის ისტორიის ფაკულტეტი. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში იყო ილია ჭავჭავაძის სახელობის სტიპენდიანტი და უნივერსიტეტის სტუდენტთა სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე.

1997 წელს უკვე დისერტაციას იცავს და ენიჭება პოლიტიკის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო აკადემიური ხარისხი.

2003 წელს მიენიჭა პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო აკადემიური ხარისხი...

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ავთანდილ ბუცხრიკიძე მუშაობდა ქ. ტყიბულში სხვადასხვა საპასუხისმგებლო პარტიულ, პოლიტიკურ, ადმინისტრაციულ და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შემდეგ ხელმძღვანელ თანამდებობებზე: საქალაქო საბჭოს აღმასკომის ინსტრუქტორად; საქალაქო საბჭოს აღმასკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ; საქართველოს კომპარტიის ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პოლიტიკური განათლების განყოფილების გამგედ; ტყიბულის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდა-აგიტაციის განყოფილების გამგედ;

1998-2003 წლებში იყო პირველი მოწვევის რაიონული საკრებულოს წევრი და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და ძეგლთა დაცვის მუდმივი კომისიის თავმჯდომარე.

1998-2003 წწ. არჩეული იყო საქართველის სოციალისტური პარტიის ტყიბულის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარედ;

1999-2003 წწ.—საქართველოს სოციალისტური პარტიის პოლიტიკური საბჭოს და მთავარი კომიტეტის წევრად;

1994-2006 წწ. მუშაობდა ქ. ქუთაისის მუსხელიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვადასხვა აკადემიურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე: მასწავლებლად, უფროს მასწავლებლად, დოცენტად, კათედრის გამგედ, დეკანად, გაერთიანებული დეპარტამენტის ხელმძღვანელად და ა.შ.

2006 წლიდან დღემდე მუშაობს ქ. ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ინტეგრაციის, შემდეგ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ამჟამად ავთანდილ ბუცხრიკიძე უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტის პოლიტიკის მეცნიერების საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელია.

2018 წელს უნივერსიტეტში დაფუძნდა პოლიტიკური და სოციოლოგიური კვლევების ცენტრი, რომლის აღმასრულებელი დირექტორია დღემდე. აღნიშნული ცენტრი იმერეთის რეგიონის მასშტაბით ახორციელებს მეცნიერულ კვლევებს სხვადასხვა აქტუალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

ბატონი ავთანდილი, როგორც ზემოთ აღინიშნა, 100-მდე სამეცნიერო სტატიის ავტორია, მათ შორის 10 სახელმძღვანელოსა და მონოგრაფიის. მის მიერ გამოცემული წიგნებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია:

პოლიტიკური ლიდერი, მონოგრაფია 1996 წ. გამომცემლობა, თსუ.

საქართველოს ისტორია (ლექციების კურსი) 2005 წ. გამომცემლობა, ინტერდიზაინი, ქ. ქუთაისი.

ელიტიზმის კლასიკური თეორიები და პოლიტიკური ლიდერობა, სახელმძღვანელო, 2008 წ. ქ. ქუთაისი.

პოლიტოლოგია, სახელმძღვანელო, 2011 წ. ქ. თბილისი.

იმიჯოლოგია, მონოგრაფია, 2009 წ. ქ. ქუთაისი.

პოლიტიკური გადაწყვეტილებები და კვლევის მეთოდები, დამხმარე სახელმძღვანელო, ქ. ქუთაისი.

პოლიტიკური ინსტიტუტები და პროცესები (სალექციო კურსი), 2016 წ. ქ. ქუთაისი.

პოლიტიკური ლიდერი და პოლიტიკური ელიტების თეორიები, მონოგრაფია, 2015 წ. ქ. ქუთაისი.

პოლიტიკური მარკეტინგი (ლექციების კურსი), 2022 წ. ქ. ქუთაისი.

ავთანდილ ბუცხრიკიძის მიერ გამოცემული მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების პრეზენტაციის შედეგად 2008-2016 წლებში და დღემდე იგი არჩეულია საქართველოს პოლიტიკურ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრად—აკადემიკოსად. არის საერთაშორისო რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების: „გოგნის“ და „ბიზნესისა და კანონმდებლობის“ დამფუძნებელი და სარედაქციო საბჭოს წევრი. არის აგრეთვე უნივერსიტეტის სადისერტაციო სამეცნიერო ხარისხების მიმნიჭებელი კომისიის წევრი.

ბატონი ავთანდილი სისტემატიურად არის მიწვეული და მონაწილეობას ღებულობს მოსკოვის, სანტკპეტერბურგის, კიევის, უჟგოროდის და ლატვიის სახელმწიფო უნივერსიტეტებში გამართულ პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენციებში.

არის ექვსი საუნივერსიტეტო საგრანტო სამეცნიერო პროექტის ხელმძღვანელი და გამარჯვებული, რომელიც ეხება პიარის, პოლიტიკური იმიჯის, საარჩევნო მარკეტინგის, იმერეთის რეგიონში მიგრაციის შემაკავებელ ფაქტორებთან დაკავშირებულ პრობლემებზე სტუდენტი-ახალგაზრდობის სოციალურ-კულტურული ზრდის აუცილებლობას და ა.შ.

გასულ წელს ბატონი ავთანდილი არჩეულ იქნა ევროპის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აკადემიის წევრად, ჰანოვერში (გერმანია).

აი ასეთი გახლავთ თერჯოლის საპატიო მოქალაქის ავთანდილ ბუცხრიკიძის საქმიანობის მოკლე ექსკურსი. როგორც ვხედავთ, მას იმაზე ნამდვილად გაცილებით მეტი გაუკეთებია და შეუქმნია, ვიდრე ერთ კაცს შეეძლო გაეკეთებინა.

„თერჯოლა“ წარმატებასა და წინსვლას უსურვებს თერჯოლის საპატიო მოქალაქე ბატონ ავთანდილს პედაგოგიურ, სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

წარმატებებს უსურვებს აგრეთვე პირად ცხოვრებაში.

მზია ცქიფურიშვილი

ეს „ანბანელაა“

თერჯოლის მე-3 ბაგა-ბაღი, იგივე „მზის სხივი“. აქ 96 ბავშვი ეუფლება პირველდაწყებით განათლებას. ყოველწლიურად მზაობის—სასკოლო ასაკის აღსაზრდელები სკოლებში ნაწილდებიან, სკოლების პირველი კლასის მასწავლებლები კმაყოფილები არიან, რომ ისინი იღებენ ბავშვებს, რომლებიც ადვილად სძლევენ სასწავლო პროგრამას, უადვილდებათ მათთან მუშაობა.

წელს 27 აღსაზრდელი ჰყავთ მზაობის ჯგუფში, პატარებმა გამოსაშვებ ღონისძიებაზე აჩვენეს, რომ ბევრი უსწავლიათ, საფუძვლიანად მიუღიათ პირველდაწყებითი განათლება, რომ გაზრდილან ერთმანეთის სიყვარულით, ურთიერთპატივისცემის გრძნობით და სამშობლოს სიყვარულით.

შთამბეჭდავი აქტივობები

ღონისძიება „ვიმოგზაუროთ დედამიწის გარშემო“ მიმდინარეობდა გარეთ, ღია ცის ქვეშ, გარე სივრცემ მომხიბვლელობა შესძინა „ანბანელებს“.

პატარებმა თამაშ-თამაშით „იმოგზაურეს“ მსოფლიოს რამდენიმე ქვეყანაში, „შეიძინეს“ ბილეთები, მოირგეს მგზავრის როლები, იმოგზაურეს სხვადასხვა ქვეყნებში, სხვადასხვა ტრანსპორტით—გემით, თვითმფრინავით, მატარებლით, საჰაერო ბურთით, შეასრულეს ამ ქვეყნების ცეკვები, „ააწყვეს“ დედამიწა და კვლავ თავის ქვეყანაში დაბრუნდნენ. საქართველოს სიყვარული გამოხატეს სიმღერით და მუსიკალური მოძრაობებით.

ღონისძიება იყო ასაკობრივი განვითარების შესაბამისი, თავისუფალი, ყველა ბავშვი იყო თანაბარ პირობებში და ყველა აქტიურობდა.

ჯგუფის პირველი ცვლის აღმზრდელ-პედაგოგს ნონა კვაშილავას, მეორე ცვლის აღმზრდელს ნათია გელაშვილს, აღმზრდელ თამუნა ბრეგვაძეს, აღმზრდელის თანაშემწეს მაკა ლასარეიშვილს, მუსიკის პედაგოგ ლია გაგიშვილს ბევრი უმუშავნიათ, სული და გული ჩაუდვიათ არა მარტო ამ ღონისძიებაში, არამედ წლების განმავლობაში ნაყოფიერად უშრომიათ. ბაგა-ბაღში კი საქმეთა თავი და თავი დირექტორი ლალი ქარქაშაძე, მეთოდისტი ქეთევან ჯაბიძეა.

ეზო სავსეა ბავშვების და პედაგოგების ხელით, მეორადი მასალით დამზადებული ეზოს დეკორაციებით, რაც ბაღის თანამშრომელთა პროფესიულ სიყვარულზე, შემოქმედებით ფანტაზიაზე, კრეატიულობაზე მიუთითებს.

ღონისძიებას ესწრებოდნენ

მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, მერიის სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, საკრებულოს დეპუტატები, სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის თანამშრომლები, აღმზრდელთა მომავალი პედაგოგები, მშობლები.

ბატონმა მანუჩარ რობაქიძემ მაღალი შეფასება მისცა არა მარტო ღონისძიებას, არამედ ბაგა-ბაღში სასწავლო-სააღმზრდელო მუშაობას, მადლობა გადაუხადა ბაღის თითოეულ თანამშრომელს, დირექტორსა და მეთოდისტს ნაყოფიერი მუშაობისათვის. სამადლობელი არ დაგახსნილია. 10-12 წლის შემდეგ განსაკუთრებული ემოციით წასაკითხია-ო თქვა მეთოდისტმა, რამდენად დაემთხვევა წლევანდელი მზაობის ჯგუფის 27 ბავშვის დღევანდელი პასუხი ყველაზე საინტერესო კითხვას—როდესაც გავიზრდები ვინ მინდა გამოვიდე... 12 წლის მერე გაირკვევა...

გამორჩეულად ლამაზი დღე იყო, დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი.

...ხეებზე მიმაგრებული ფოტოებიდან იღიმოდნენ მზაობის ჯგუფის ბავშვები...

ჟუჟუნა ცხადაძე

მევლუდ გეწაძე: „თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა ჩემთვის გამორჩეული პატივია“

„მრავალი“-ო ამბობს მშენებელი, მაგრამ ზუსტი ინფორმაცია იმის შესახებ, 50 წლის მანძილზე, სხვადასხვა თანამდებობზე მუშაობისას რამდენი ობიექტი აუშენებია ან სარემონტო სამუშაოები ჩაუტარებია, არ აქვს, რამდენიმე გაიხსენა: თერჯოლის რაიკომის ყოფილი შენობა (ახლა აქ საკრებულო და სხვა სამსახურებია), სკოლები, საბავშვო ბაღები, ადმინისტრაციული შენობები სოფლებში, რაიონში და საქართველოში, არქივები, კულტურის სახლები, წყალსადენები, წყლის საცავები, საექიმო ამბულატორიები, სპორტული კომპლექსები, პოლიციის შენობები, საპატიმროები, პროფტექნიკური სასწავლებლები, დევნილთა საერთო საცხოვრებლები, მღვიმეების რეაბილიტაცია, კანიონების სამუშაოები, უსახლკაროთა სახლები, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლები, ღვინის ქარხნები, სასამართლოს შენობები და სხვა. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოიცვა სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოები შპს „მტმ“ და მისმა დირექტორმა მევლუდ გეწაძემ.

დიახ, ვერ ვთვლით მევლუდ გეწაძის მიერ აშენებულ თუ რეაბილიტირებულ ობიექტებს, მაგრამ გოგნის „კარუგდებელი“ მისი სიამაყეა, მშენებლობის პერიოდში დროის დიდ ნაწილს გოგნში ატარებდა, მუდმივ თვალთახედვის არეში ჰქონდა, როგორ მიიწევდა მაღლა კედლები, ათასობით მომლოცველი ამბობს სამადლობელს და ლოცავს მშენებლების და მისი ხელმძღვანელის მარჯვენას...

მშენებლის მოკლე ბიოგრაფიული შტრიხები

წარმატებით დაამთავრა თერჯოლის პირველი საშუალო სკოლა. 1970 წელს სწავლა გააგრძელა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში სამშენებლო ფაკულტეტზე. პირველად მუშაობა წყალტუბოს №2 სამშენებლო ტრესში სამუშაოთა მწარმოებლად დაიწყო, მერე ქუთაისის ავტოქარხნის ახალი კორპუსის მშენებლობაზე გადაიყვანეს უბნის უფროსად, ძალიან ახალბედას, სულ რაღაც 9 წლის სამუშაო სტაჟის მქონეს მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მშენებლის წოდება.

თერჯოლას ესმოდა მისი გაზრდილი შვილის, მკვიდრის წარმატების შესახებ და პირველივე შესაძლებლობისთანავე თავისთან იხმო. 1985 წლიდან მევლუდ გეწაძე სამუშაოდ თერჯოლაში გადმოიყვანეს—ჯერ მექანიზებული კოლონა №1-ის მთავარ ინჟინრად მოვიდა და თან მოიტანა დიდი გამოცდილება და მზადყოფნა—აშენოს თერჯოლაში, გამოიყენა მაღალი კვალიფიკაცია და მერე როგორ! ერთ წელიწადში მეხკოლონა №69-ის უფროსად გადაიყვანეს და 1991 წლამდე ხელმძღვანელობდა საწარმოს, სწორედ ეს ხუთი 1991-96 წლებში და შპს „ოდას“ დირექტორობის კიდევ ხუთი წელი იყო მევლუდ გეწაძისათვის გამორჩეული.

მერე იყო სხვა სამუშაოები და 2010 წლიდან, როგორც „მტმ“-ს დირექტორი აშენებდა არა მარტო თერჯოლაში, არამედ საქართველოს მრავალ ობიექტს—ბათუმში, ქობულეთში, ტყიბულში, ლენტეხში, ცაგერში, ამბროლაურში, ახალქალაქში, ლანჩხუთში, გეგუთში, სენაკში, საგურამოში, ხონში თუ ხელვაჩაურში...

თერჯოლაში თითქმის ყველა სამშენებლო ობიექტი მევლუდ გეწაძისა და მისი შპს-ს აშენებულია, მათ შორის ღვინის ქარხანა „ხარება“.

ორგანიზაციას დარგის ლიდერობა, ხელმძღვანელს „ეკონომიკის ვარსკვლავი“

ნაციონალური ბიზნესრეიტინგების საერთაშორისო კავშირმა 2015 წელს მევლუდ გეწაძეს მიღწეული ეკონომიკური მაჩვენებლისათვის, ქვეყნის ბიუჯეტში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა პირადი ჯილდო „ეკონომიკის ვარსკვლავი“, ხოლო კომპანიას მიენიჭა დარგის ლიდერის წოდება.

კომპანიის პრიორიტეტია: გამჭვირვალობა, პროექტის განხორციელება დადგენილ ვადებში, პატიოსნება და ურთიერთდახმარება. ეს პრიორიტეტები შეასრულო, არ არის ადვილი, ეს მევლუდმა შეძლო. ბიზნეს რეიტინგის წიგნში, სადაც ეს სიტყვები წერია, რამდენიმე ათეული საწარმო და ხელმძღვანელია შეტანილი. მევლუდ გეწაძე მათ შორისაც კი გამორჩეულია.

ბაღისკიდელობა

მევლუდი არის ქუთაისის საზოგადოება „ბაღისკიდის“ გამგეობის წევრი, მინიჭებული აქვს ბაღისკიდელის წოდება. დაჯილდოებულია მწერლის სიგელით „ერთგულ მკითხველს“.

და მაინც ყველაზე უმჯობესი

„თერჯოლობა“ გამორჩეული დღეა და ოქტომბერში ტარდება, წლის ულამაზეს დროს, როცა „შემოდგომის უღელს მზე ხარივით უბია“, სწორედ ამ დღეს სახელდებიან თერჯოლის საპატიო მოქალაქეები, ადამიანები, რომლებსაც განსაკუთრებული წვლილი აქვთ შეტანილი რაიონის წინსვლასა და წარმატებაში.

ერთ-ერთი მათგანი, ვისაც 2024 წლის „თერჯოლობაზე“ თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მიენიჭა მევლუდ გეწაძეა. „მე მაქვს ჯილდოები, თითოეული ჩემთვის მნიშვნელოვანია, მაგრამ თერჯოლის საპატიო მოქალაქეობა მაინც გამორჩეული პატივია, ჩემი რაიონი ჩემი სიამაყეა, მინდა იგი მუდმივ „ხარაჩოებში“ იყოს, მუდმივად შენდებოდეს, იზრდებოდეს, მშვენდებოდეს. მადლობა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას, ყველას, ვინც დააფასა ჩემი მცირე წვლილი თერჯოლისთვის გაღებული“.

ოჯახი

მევლუდს ჰყავს მეუღლე დარეჯან ჭეიშვილი—პედაგოგი. ორი შვილი—დავითი, პროფესიით იურისტი, დაოჯახებული, აქვს კერძო ბიზნესი. გიორგიც იურისტია, დაოჯახებულია, მუშაობს სოფლის მეურნეობისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში, უფროს სპეციალისტად.

დარეჯანს და მევლუდს ოთხი შვილიშვილი ჰყავს, ოთხი სიამაყე, ოთხი თვალისჩინი. მარიტა—არქიტექტურის ინგლისურენოვანი ფაკულტეტის მე-3 კურსის სტუდენტი, სესილი მე-8, სოფია მე-5, მიქაელი მე-2 კლასის მოსწავლეები. მევლუდ გეწაძე არის კარგი მეუღლე, მამა, ბაბუა და საიმედო მეგობარიც.

ჟუჟუნა ცხადაძე

ზაფხულის ცხელ დღეებში

ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტი

ქ. თერჯოლაში, კულტურის სამინისტოს მხარდაჭერით და დაფინანსებით, მერიის მიმდებარე ტერიტორიაზე, ანრი ჯოხაძის სოლო კონცერტი გაიმართა.

კონცერტზე ქართული ესტრადის ვარსკვლავის ცნობილი სიმღერები შესრულდა, რამაც თერჯოლელი მსმენელის დიდი მოწონება დაიმსახურა.

კონცერტი გიორგი გასვიანს მიჰყავდა და მასში ასევე მონაწილეობდნენ მუსიკალური შემსრულებლები:

ნინი ბადურაშვილი;
ქრისტინე იმედაძე;
მაგდალენა ჯოხაძე;
ანრის ბენდი.

სოლო კონცერტი წარმატებით ჩატარდა.

თეკლა კირკიტაძე: „ყოველი დღე ლამაზი და საინტერესოა თერჯოლელი ახალგაზრდებისათვის. მე განსაკუთრებით გამოვარჩევდი თერჯოლაში ცნობილი ქართველი, ყველასათვის საყვარელი მომღერლის, ანრი ჯოხაძის კონცერტს, რომელსაც უამრავი მაყურებელი ჰყავდა.

ნიჭიერმა მომღერალმა სიმღერებით მსმენელთა აღტაცება და მხურვალე აპლოდისმენტები მრავალგზის დაიმსახურა.

თერჯოლაში საყვარელ მომღერლებთან შეხვედრის სიხარული და თავისავე ბენდთან ერთად გამართული კონცერტი არასოდეს დამავიწყდება“.

შემაჯამებელი ღონისძიება მეგობრების ღირსეული გაცილებით

სასწავლო წლის მიწურულს თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში ღონისძიებების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის შემაჯამებელი აქტივობა გაიმართა. კლუბმა, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც უაღრესად მაღალ დონეზე, პასუხისმგებლობით მომზადებული თეატრალიზებული, ინტელექტუალური და შემეცნებითი სანახაობით ლამაზი, სასიამოვნო წუთები აჩუქა როგორც მოწვეულ სტუმრებს, დამსწრე საზოგადოებას, ასევე კლუბის წევრებს, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და კლუბს დაემშვიდობნენ, ცენტრის აღსაზრდელებს, მათ მშობლებს, დირექციას და პედაგოგებს...

მონაწილენი ფარდის წინ საღამოს სამ აქტივობას აანონსებენ, რომელიც ორ ცხოვრებისეულ პრობლემას მოიცავს და ბადებს მუდმივად კითხვებს, მესამე აქტივობაში კი ბოლო გაკვეთილს ჩუქნიან მეგობრებს: „თქვენ დიდი ცხოვრების გზაზე გადიხართ, გვინდა საგზლად ჩვენი სიყვარული და სულ პატარა, ნამცეცა ცოდნა გაგყვეთ სუფრის ადათ-წესებისა, მიმართავენ: ნიკა გურულს, თეკლე მაკარიძეს, მარიამ ბერუაშვილს და ნინი მაჩიტიძეს, რამეთუ ცოდნა და დიპლომები უსუსურია, თუ მას ღირსება და ინტელექტი არ მართავს“...

„ჩემო ციცინათელას“ მუსიკის ფონზე იხსნება ფარდა. ოჯახი ანუ ცოლ-ქმარი მსჯელობს ჯერ შვილის სკოლის დამთავრების სადღესასწაულო სუფრაზე მოსაწვევთა სია როგორ დაიყვანონ 100 კაცზე და აგრეთვე „ქართული სუფრა კარგი ღვინო და კარგი თამადაა, ღვინო არ შეარცხვენს, მაგრამ თამადა?

სიამაყის გრძნობით გავსებს ძველებური ტრადიციული სუფრის, ანდა იმერული სტუმართმოყვარეობის ხაზგასმა.

„იმერელი თავს მოიკლავს, რომ სტუმარს ასიამოვნოს, მაგრამ რაც არ უნდა კარგად მიიღოს სტუმარი და პატივი სცეს, ბოლოს მაინც მოუბოდიშებს: „მაპატიეთ, ბატონო, თქვენს შესაფერისად თუ ვერ დაგხვდითო“.

იმერული სუფრა და ქეიფი არასოდეს ყოფილა მარტო ღვინის სმაში გაჯიბრების ასპარეზი. ეს იყო სხარტი სიტყვა-პასუხის, სიყვარულის, ზრდილობის, ურთიერთპატივისცემის, რაინდული თავდაჭერილობის, ერისა და მამულისადმი ერთგულების დემონსტრაცია.

მსჯელობას ძველებურ ხიბლს სძენს და ალამაზებს „ბაფთიანი“ გიტარის თანხლებით ღონისძიების მონაწილეთა ერთი ჯგუფის მიერ შესრულებული „იმერული პოპური“; ქართული იმერული სუფრის ადათ-წესებზე, მასპინძლისა და სტუმრის, აგრეთვე სუფრის თითოეული წევრის უფლებამოსილებაზე საუბარი გრძელდება, საიდანაც დასკვნა ერთია, დღევანდელი სუფრის წესებს თითქმის არაფერი აქვს საერთო ძველ ტრადიციულ სუფრასთან. რომ „იმერული სუფრა თვით ქართველი ხალხის, ქართველი ერის ხნისაა, ჭირში და ლხინში გამოხატავდა ერის ზნეობას, კულტურასა და კეთილშობილებას, მის წიაღში იდუმალადაა განფენილი ქართული პატიოსნება და სიდარბაისლე. სუფრაზე მტკიცედ იყო დაცული უფროს უმცროსობის ეთიკური ნორმები, განსაკუთრებით მკვეთრად იხატებოდა მოკრძალება მანდილოსნებისადმი...“

თამადის მთავარ როლსაც გამოჰკვეთენ სუფრის ავ-კარგიანობის ხარისხის განმსაზღვრელად, რომელმაც უნდა შექმნას სამხიარულო განწყობა თავისი მჭერმეტყველებითა და სადღეგრძელოთა მრავალფეროვნებით... იგია ქართული სუფრის მთავარი ფიგურა, ხელმძღვანელი, თავკაცი, რომელსაც ევალება არა მხოლოდ სადღეგრძელოს თქმა, არამედ პურობის წესის თანმიმდევრული დაცვა და წარმართვა, მასზეა დამოკიდებული ოჯახის, გვარის, თემის, ნათესაური წრის სათანადოდ წარმოჩენა, გარდაცვლილთა მოგონება და გახსენება, დამსწრეთა პატივისცემა და დაფასება, მათი ღირსების, სოციალური, ასაკობრივი თუ სქესობრივი ტრადიციული ნორმების გათვალისწინებით.

— იგი თავად უნდა იყოს ღირსეული, გამორჩეული, ფიზიკურად შემძლე, ღვინის სმის ამტანი, ავტორიტეტული პიროვნება, კაცი, რომელმაც იცის სუფრის წესი და რიგი, არის კარგი მოსაუბრე, მჭერმეტყველი, იცნობს ოჯახს და იმ სოციალურ წრეს, რომელშიც იმყოფება...

— უმთავრესად სადღეგრძელო პოეტური უნდა იყოს. მჭერმეტყველი თამადა სადღეგრძელოში გაურევს ცის სილაჟვარდეს, ვარდის სურნელებას, მწვერვალთა ბუმბერაზობას, ჩანჩქერთა ელვარებას, კლდის სიმტკიცეს და ა.შ. მაგრამ, მთავარი ის არის, რომ სადღეგრძელო უნდა იყოს ამაღლებული, წამახალისებელი, სინამდვილესთან მიახლოებული.

— იმერეთში სუფრასთან ყველას აქვს უფლება ერთმანეთს თვალი გაუსწოროს, აქ ისინი ძმები, მეგობრები, ახლობლები ხდებიან...

— სუფრასთან, როგორც წესი, ცუდს და უარყოფით მხარეს არ ახსენებენ. სუფრის ასეთ წარმართვაში სმა-ჭამა მეორე პლანზე გადადის, მის ადგილს გონებამახვილობა და მჭერმეტყვლება იკავებს, მუზა ყველას მოდის და ცდილობს რაც შეიძლება მეტი ლექსი, თქმულება, ანდაზა, ხალხური გამოთქმები გამოიყენოს და სადღეგრძელო გაამდიდროს. ასეთ თამადაზე ზედგამოჭრილია ხალხური სიმღერა: „ეს თამადა რა ყოფილა, ცოტა ღვინო გვამყოფინა“.

— ქართული სუფრის ტრადიციები მკაცრ წესრიგს ემორჩილება. სადღესასწაულო სუფრა წარმოუდგენელია სიმღერის, ცეკვისა თუ ხუმრობების გარეშე...

სად ვიპოვოთ ასეთი თამადა? და ჩნდება აზრი: ადრე, სულ ადრე სუფრას თამადა არ ჰყავდა, სულ სამი სადღეგრძელო ითქმებოდა: „ღმერთის, მეფის, სამშობლოს და ამასაც სხვადასხვა ადამიანი ამბობდა.

დარბაზში ყველა თავის ადგილს იკავებს სამი მაგიდის „სამი თამადა“ კი, რომელსაც მხარდამჭერებიც ჰყავს, სამ სადღეგრძელოში ჩაატევს ყველა ქართველის უდიადეს და უნეტარეს სათქმელს, სურვილს, ოცნებას. გულგრილს რომ არავის დატოვებს რეალობად ქცევის შემთხვევაში კი სამშობლოს უბრწყინვალეს უბედნიერეს ხანაში დაამკვიდრებს... თითოეულ ადამიანს კი ღირსეულ ადგილს დაუმკვიდრებს „წუთისოფელში“.

„უფლის სადიდებელი“,
„სამშობლო“,
„ახალგაზრდობა“.

შემდეგ იყო ლექსებით შეხმიანება. დიდებულ ადამიანთა უმშვენიერესი სტრიქონები წარმოადგენდა ჩვენი ქვეყნის ტკივილიან ისტორიას, განადიდებდა ქართველთა გმირობას, თავდადებას, სიყვარულს, ყოველივე ამაღლებულსა და უწმინდეს, ღვთაებრივი საუნჯის, მამულის, ენის, სარწმუნოების მოვლა-პატრონობას, რომ გვკარნახობს და გვავალდებულებს...

„ჩვენი ლხენის მიზეზი უზრუნველ ბავშვობასთან დამშვიდობება, პატარა ბილიკებით ცხოვრების შარაგზაზე გასვლაა“. „კაცობრიობა რომ არ დაბერდეს, ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან?! ანუ...

აქტივობის შემდეგი ნაწილი კი როგორც სადღეგრძელო ახალგაზრდებს ეძღვნება, რომლებმაც სკოლა დაამთავრეს და პარალელურად მეორე მშობლიურ კერას, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრს ემშვიდობებიან.

მოდის ახალი თაობა, ღმერთო შენ ამრავლე ეს ჭირნახული, სახლებს აკვნები გაუმრავლე, ვაზებს ჭიგონი... მოდის ყველაზე დიდი ნიჭი ამ ქვეყანაზე, მოდის სიკვდილთან და წარმავალ დროსთან მოჯანყე. თითქოს მზად არის ეს უთქმელი აღფრთოვანება, „შენ ხარ ვენახად“ რომ გადმოიღვაროს.. მოდის იის სიმორცხვით, მოდის და მოსდევს მომავალშიც, აწმყოც, წარსულიც, მოაქვს პატარა საქართველოს დიდი სიცოცხლის გზა კეთილი, საქართველოს ხსნა ღმერთმა ინებოს, ჩემი ამაყი და გათელილი ჩემი მამული ქვეყნის შვილებით...

დიახ, ოთხი ახალგაზრდა ემშვიდობება უსაყვარლეს ცენტრს. თეკლას, ნიკას, მარიამს, ნინოს, რომლებმაც წლები გაატარეს ულამაზეს სამყაროში, იყვნენ მრავალი ბედნიერი დღის, სიკეთის, სიყვარულის, სიხარულის, ერთობლივი გამარჯვების, მრავალი ღონისძიების, წარმატებების თანამონაწილენი, ადვილად არ ეთმობათ განშორება, ვერც დარჩენილი მეგობრები იმეტებენ გულისტკივილის გარეშე, თუმცა სიყვარულით, საუკეთესო სურვი-

☞9

შემაჯამებელი ღონისძიება მეგობრების ღირსეული გაცილებით

8 ☜

ლებით გზას ულოცავენ და წარმატებებს უსურვებენ ცხოვრების დიდ გზაზე.

ნიკა გურულის, ნინი მაჩიტიძის, თეკლე მაკარიძის, მარიამ ბერუაშვილის მომავალი კი უნდა იყოს ბედნიერი, წარმატებული, სანიმუშო, მათ ამის წინაპირობა ნამდვილად გააჩნიათ. სკოლებსა და ამ ცენტრში მიღებული ცოდნა-გამოცდილება, მათი

უნარი, შრომისმოყვარეობა, ნიჭიერება და კიდევ მოტივაციაა ამის გარანტი. თითოეულ მათგანზე მომზადებული ფოტოკოლაჟი და მეგობართა დახასიათება იძლევა საფუძველს... ვფიქრობ ძალიან ისიამოვნა თითოეულმა სიურპრიზით, რომელიც მიუძღვნეს და ისიამოვნა მაყურებელმაც ამ საამაყო ვაჟისა და გოგონების წარმატებებით.

ალალია მათზე გულწრფელად მიძღვნილი სადღეგრძელოც, ეს მათ წარმოდგენილ—ცეკვა-სიმღერით და ულამაზესი ლექსებითაც დაიმსახურეს.

იყო კიდევ ერთი სადღეგრძელო „მასპინძლისა“, რომელიც ისევ იმერული სტუმარ-მასპინძლობის ადათიდან მომდინარეა, იუმორით სავსე გამონათქვამიც გაიხსენეს: „დილით ოქრო ხარ სტუმარო, შუადღით ვერცხლად იქცევი, თუ კიდევ შეგაგვიანდა, სპილენძად გადაიქცევი“...

ამ შემთხვევაში მათი „მასპინძელი“ როგორც ითქვა მათი „ცენტრი“, „ცისფერი ოთახი“, მათი „დარბაზი“, „საფურცლო“ და სადღეგრძელოც სამადლობელით ითქვა შოთა ნიშნიანიძის მოშველიებით: „არც ხათრი გვქონდა, აღარც დანდობა, არც მორიდება მოზრდილ ყმაწვილებს, ჩვენ თქვენ მოგტაცეთ ახალგაზრდობა, და ერთმანეთში დავინაწილეთ“... მადლობა თქვენ ჩვენო აღმზრდელებო და მსმენელებო, მადლობა ცენტრის დირექციას, პედაგოგებს, ტექნიკურ მუშაკებს, თქვენ გვასწავლეთ ჩვენ, ჩვენ კი ბევრ რამეს წავშლით დაფაზე, ჩვენ კი ბევრ რამეს გადავაფასებთ, შევქმნით ახალ გზებს, ახალ ნახაზებს და თქვენ სიცოცხლეს გაგილამაზებთ...

ამ ფინალით სცენაზე „ცენტრის“ დირექტორი ნინო ოქრუაძე მიიწვიეს, რომელმაც მადლიერებისა და მილოცვის შემდეგ თავის მხრივ მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს მანუჩარ რობაქიძეს და გიორგი ბარათაშვილს გადასცა სიტყვა, თუმცა სრულიად ლოგიკურად და დამსახურებულად პირველი სიტყვისა და საღამოს შეფასებისათვის, კურსდამ-

თავრებულთა მიმართ მადლიერების და დალოცვა გამოხატვისათვის პირველი სიტყვა კლუბის კოორდინატორს ქალბატონ რუსუდან კოვზირიძეს ერგო წილად...

კურსდამთავრებულებს დიპლომები თუ სერთიფიკატები გადასცეს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებმა, გზაც დაულოცეს და წარმოდგენილი საღამოც მაღალ დონეზე შეაფასეს.

„მზეკაბანელ“ მეოთხეკლასელთა გამოსაშვებ საღამოზე

ღამაზი მოსაწვევით მიიპატიჟეს სტუმრები, მშობლები, ახლობლები მოსწავლე-ახალგაზრდობის საკონცერტო დარბაზში კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“-ის მეოთხე კლასის გამოსაშვებ საღამოზე. ერთი დიდი სიამოვნება იყო მარტო არაჩვეულებრივად ღამაზი გარემო, ყვავილებსა და სიფერადეში ჩაფლული სცენა, ღამაზი მუსიკა...

ვიდრე სცენას ულამაზესი გოგო-ბიჭები დაიკავებდნენ თავიანთ მასწავლებელთან ერთად, დარბაზში შეკრებილ საზოგადოებას მიესალმა სკოლის დირექტორი აზა მემანიშვილი, მადლობა გადაუხადა მათ მეოთხეკლასელთა საზეიმო საღამოს სიხარულის გაზიარებისათვის, მასწავლებელსა და მოსწავლეებს კი წარმატება უსურვა.

მასწავლებლისა და მოსწავლეების სცენაზე პირველივე გამოჩენა ღამაზი ცეკვით იყო ერთგვარი განაცხადი, რომ წინ სასიამოვნო საღამო ელოდა მაყურებლებს. წამყვანებმაც—ტასომ და გელამ ასე დააანონსეს.

ინსცენირება 1-მა და ინსცენირება 2-მა გამოხატა ის რეალობა, რაც სკოლაში წასვლის პირველ დღეს ხდება ხოლმე: არის ბავშვი, რომელიც ძნელად იღებს გადაწყვეტილებას და თვალცრემლიანი მშობელს იძულებით მიჰყავს, მეორე შემთხვევაში კი გახარებულია და დედას თავად აჩქარებს არ დააგვიანონ. ორივე ინსცენირება მაყურებელმა აპლოდისმენტებით შეაფასა.

ღონისძიება ღამაზი სცენარით გრძელდება. ულამაზესია და სასიამოვნო მათი თვალის შევლება, ერთნაირ, საოცარ ფერებში, ეროვნული სამოსით მასწავლებელი და მოსწავლეები ისეთ სილამაზეს ჰქმნიან, თვალს რომ ვერ მოწყვეტ. ხოლო, როცა დღემდე სკოლაში მიღებულ ცოდნასა და შთაბეჭდილებებზე საუბრობენ არ შეიძლება არ დაეთანხმო: მართლაც რამდენი ფიქრი და რუდუნებაა საჭირო, რომ მასწავლებელმა ნამდვილი მამულიშვილები აღზარდოს, მისცეს მათ არამარტო განათლება, არამედ ასწავლოს პატიოსნება, გმირობა, ვაჟკაცობა, სამშობლოს სიყვარული...

შემდეგ იწყება ფიქრი და მსჯელობა—რა არის სამშობლო? და ამაზე გონიერ ღამაზ გოგო-ბიჭებს მრავალი პასუხი აქვთ საქართველოს უკვდავ მამულიშვილთა ნააზრევებიდან... შემდეგ კი ღამის საქართველოს საამაყო ისტორიაც წარმოადგინეს, იქედან მოყოლებული, როგორ ერგო წილად ქართველს, მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი, წალკოტი, წარმოადგინეს საამაყო ადამიანები, გმირები, რომელთა წყალობითა და ბრძოლით თუ თავგანწირვით მოვსულვართ დღემდე.

ხაზგასმით ითქვა სწავლა-განათლების მიღების აუცილებლობაზე, ქვეყნის უპირველესი სიმდიდრის: ქართული დამწერლობის, ეკლესია-მონასტრების, მიწა-წყლის, ბუნების, წარსულის ისტორიის მოვლა-პატრონობისათვის მზადყოფნასა და პასუხისმგებლობაზე.

მოეფერენ და პატივი მიაგეს თავიანთ მასწავლებლებს, მათ ამაგსა და ფასდაუდებელ ღვაწლს.

მოეფერენ დედებს, რომელთა სიყვარულს, ზრუნვას, თავდადებას, არაფერი შეედრება... იყო მათთან ერთად შესრულებული მხატვრული ნომრებიც.

გზადაგზა იყო ღამაზი სიმღერები, ცეკვები და საუკეთესოდ წაკითხული ლექსები, ყველაფერი, რაც ხიბლს და სილამაზეს სძენდა მეოთხეკლასელების გამოსაშვებ ზეიმს. იყო იმაზე მეტი, ვიდრე მეოთხე კლასის მოსწავლეებისაგან შეიძლება მოელოდე.

ორიოდე სიტყვა კლასის ხელმძღვანელზე: მარიამ აბულაძე და ეს მეოთხეკლასელები 4 წლის წინ პირველად შევიდნენ საკლასო ოთახში, მარიამისთვის ეს იყო პედაგოგიური მოღვაწეობის, ხოლო ბავშვებისათვის მოწაფეობის დასაწყისი. ორივე მხარემ ჩინებულად წარმოაჩინა თავი როგორც სწავლის აკადემიურ მაჩვენებლებში, ისე გამოსაშვებ ზეიმზე გამოვლენილი ცოდნით და შემოქმედებითი უნარებით.

მარიამ მასწავლებელმა სიყვარულით დალოცა და სამახსოვრო საჩუქრები გადასცა შვილებივით მასთან შეზრდილ მოსწავლეებს: ალექსი ამირანაშვილს, გაბრიელ ბლიაძეს, ანასტასია ორბელაძეს, გაბრიელ სოფრომაძეს, ნათია ბოჭორიშვილს, ტასია ტყავაძეს, თამარ ლილუაშვილს, გელა კაპანაძეს, ნიკოლოზ რობაქიძეს, გაბრიელ კახიძეს, ბარბარე ქვათაძეს და ზუკა გეწაძეს.

საღამოს დასასრულს იყო მილოცვები და სამომავლო კეთილი სურვილები. კლასის პირველი ხელმძღვანელი კიდევ ერთხელ მოეფერა ღამაზ გოგო-ბიჭებს და ბედნიერი მომავალი უსურვა თითოეულს.

მეოთხეკლასელებს გზა დაულოცა და წარმოდგენილი ღონისძიება მაღალ დონეზე შეაფასა აზა მემანიშვილმა—სკოლის დირექტორი;

მამა ანდრიამ (ყიფიანი);

პედაგოგმა ბებიამ, რომელიც გურიიდან სპეციალურად ამ დღისათვის ჩამოვიდა, იგი გულწრფელი სიტყვებით მოეფერა მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, ასევე თერჯოლას, რომელიც ეხლა გაიცნო და საუკეთესო შთაბეჭდილებებით დაამახსოვრა თავი;

ნინო ოქრუაძემ—მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორი;

თამარ ღარიბაშვილმა—სამხატვრო საგანმანათლებლო სკოლის დირექტორი;

მანანა წერეთელმა—„მზეკაბანი-2007“-ის პედაგოგი;

იყო მშობლებიდან სამადლობელიც.

ღონისძიების შემდეგ კლასის ხელმძღვანელმა მარიამ აბესაძემ „თერჯოლასთან “ საუბარში აღნიშნა:

მარიამ აბესაძე: „მეოთხე კლასის გამოსაშვები ღონისძიებისაგან იმდენად ვარ ემოციებით დატვირთული ალბათ დიდხანს გამყვება. ბევრი რამის თქმა მინდოდა, ბევრი ადამიანისათვის მინდოდა მადლობა გადამეხადა, თუმცა ძალიან ვღელავდი.

მადლობა „მზეკაბანს“ არსებობისათვის, მადლობა აზა მემანიშვილს, რომ მომცა შესაძლებლობა ვყოფილიყავი შესანიშნავი გუნდის წევრი, დიდი მადლობა ქალბატონ მანანა წერეთელს. მან ულამაზესი ტექსტი დაწერა მასწავლებლებზე, რომელიც შემდეგ ქალბატონმა გულთამზე კუბლაშვილმა დაამუშავა და ბავშვები შესანიშნავად აამღერა;

მადლობა თამარ ჭანკვეტაძეს, პატარებისა და მათი დედიკოების საუკეთესოდ ცეკვებისათვის;

მადლობა ლია ნიკოლაძეს, თავისი ოქროს ხელებით გვერდით დგომისათვის და არა მარტო დიზაინისათვის გიხდით მადლობას, მადლობა შორენა გიორგაძეს სკოლიდან მიმავალს ყოველთვის მქონდა შენი იმედი, რომ ბავშვებს უსაფრთხო ხელში ვტოვებდი. მადლობა თეა დოლაკიძეს ღონისძიების მსვლელობის დროს იმედიანად ვგრძნობდი თავს ტექნიკურ საკითხში;

მადლობა ნინო სირბილაძეს, კულისებში დასამალი არ იყავი, მაგრამ იცოდი იქ მჭირდებოდი და პირველივე თქმაზე დამთანხმდი;

მადლობა თქვენ სალომე ისაკაძე, თამთა თოხაძე, ქეთი ზარნაძე, რომ მხოლოდ მშობლების სტატუსით არ იყავით ჩემს გვერდით და მადლობა თითოეულ „მზეკაბანელს“ თბილი დამოკიდებულებისთვის, ჩვენ ერთი გუნდი ვართ“.

„თერჯოლა“ წარმატებებს უსურვებს მომავალშიც მოსწავლეებს და მასწავლებელს.

სტატიების ავტორი
მზია ცქიფურიშვილი

„ომის ღმერთი“ ანუ ფესტივალის გამარჯვეული სპექტაკლი მაყურებლის თვალით

ჩვენს მკითხველს, „თერჯოლის“ წინა ნომერში უკვე მივაწოდეთ დაწვრილებითი ინფორმაცია საერთაშორისო ფესტივალის „თეატრალური იმერეთი-2025“-ის შესახებ, რომელიც ქუთაისში მეთექვსმეტედ ჩატარდა.

კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავთ, რომ თერჯოლელთა სპექტაკლი „ომის ღმერთი“ კომპეტენტური ჟიურის გადაწყვეტილებით აღიარებული იქნა ფესტივალის საუკეთესო სპექტაკლად და მთავარი ჯილდოც ჩვენი მუნიციპალიტეტის თეატრმა დაიმსახურა...

დაჯილდოების ცერემონიალზე სპექტაკლის დამდგმელმა რეჟისორმა მამუკა ცერცვაძემ თქვა:

„დიდი მადლობა ყველას, ვულოცავ მონაწილეებს გამარჯვებას. ფესტივალში ყველა გამარჯვებულია, იმარჯვებს თეატრი და საერთო საქმე, მადლობა ფესტივალის ორგანიზატორებს, ჟიურის, მონაწილეებს, ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას... ჩვენი სპექტაკლის გამარჯვებას და მოპოვებულ გრან-პრის ვუძღვნი მწერალს, დრამატურგს, ამ პიესის ქართული ვერსიის ავტორს 90 წლის თამაზ გოდერძიშვილს. მასთან თანამშრომლობა უკვე გამარჯვების 50%-ია. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ მას“—ასე გამოხატა სცენიდან გამარჯვების სიხარული რეჟისორმა.

ფესტივალის დახურვის ორი დღის შემდეგ თერჯოლის სახალხო თეატრმა სპექტაკლი ადგილობრივი მაყურებლისათვის თერჯოლის კულტურის სახლის საკონცერტო დარბაზში

გამართა. მიუხედავად იმისა, რომ სპექტაკლს მესხიშვილის თეატრში 300-ზე მეტი მაყურებელი მარტო თერჯოლიდან ჰყავდა, გამარჯვებული სპექტაკლის სანახავად მრავალმა მაყურებელმა მოიყარა თავი. ხშირად ისმოდა მოწონების აპლოდისმენტები, ხოლო სპექტაკლის დასრულების შემდეგ მსახიობები მრავალგზის იხდიდნენ მადლობას ფეხზე წამომდგარი მაყურებლების აპლოდისმენტების პასუხად.

კულტურის სახლის დირექტორმა ლია ბუსკივაძემ მადლობა გადაუხადა რეჟისორსა და მსახიობებს, სხვა პერსონალს გაწეული მუშაობისათვის და მიღწეული წარმატებისათვის, მან აგრეთვე მადლობა გადაუხადა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას თანადგომისათვის.

თერჯოლელ თეატრალებს წარმატება კიდევ ერთხელ მიულოცა მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ და სამომავლოდ თანადგომას დაჰპირდა.

ნატო კვეტენაძე, განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ზოგადი სპეციალისტი, სახელმწიფო ენის ექსპერტი; სსიპ ქალაქ თერჯოლის N1 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მენტორი მასწავლებელი :

თეატრი ცხოვრების სარკეა. სარკე, სადაც მხოლოდ სახე კი არ აირეკლება — არამედ სულის ფერი, შიშები, ტკივილი და ის უთქმელი კითხვები, რომლებსაც ყოველდღიურობაში ხშირად გვერდს ვუვლით.

სპექტაკლი „ომის ღმერთი“ თანამედროვეობის არაერთ პრობლემას შეეხო. მისმა სათქმელმა ზუსტად ისე დატოვა ღრმა საფიქრალი, როგორც ზარის ხმას მოჰყვება ხოლმე მდუმარება. სათაურის მეტაფორული გაგება, ომის მითოლოგიური ღმერთების – არესისა/ /მარსის– ცნობიერება, სწორხაზოვნად გაჰყვა წარმოდგენის იდეას, რითაც ნათლად წარმოჩინდა დღევანდელი ოჯახური თანაცხოვრებისა და ადამიანის პიროვნული მანკიერი გამოვლინებები საკუთარი შვილისა თუ, ზოგადად, საზოგადოების სხვა წევრების მიმართ.

წარმოდგენის სიუჟეტური ხაზი იწყება ორი ოჯახის წინაშე მდგარი გაუგებრობის, მათი შვილების ძალადობრივი დაპირისპირების მორიგებისათვის შეხვედრით. სათქმელი პირველ ეტაპზე მსუბუქია, თითქოსდა მშვიდობისაკენაა მიმართული, თუმცა მოჩვენებითი იერსახის მიღმა იმალება სიმძიმე. ერთი შეხედვით ყველაფერი სწორად არის მოწყობილი: დალაგებული ავეჯი, სუფთად გაწკრიალებული იატაკი; ოჯახის წევრებიც — თითქოს მოწესრიგებული, აკადემიური გამომეტყველებით, თავშეკავებული ტონით, ფერადშერწყმული სამოსით... მაგრამ ეს ყოველივე მხოლოდ ზედაპირია — ილუზიაა, რომელიც სხვებისთვისაა დადგმული, მაგრამ პერსონაჟთა ჟესტსა თუ ჩაცმულობაში იგრძნობა ნალექად დარჩენილი გამოუთქმელი სიტყვები.

ეს ის ოჯახებია, სადაც გარესამყაროსთვის იდეალურობის თამაშში თითოეულმა წევრმა დაკარგა ადამიანობასთან კავშირი. სულიერად დაღლილებმა ალკოჰოლის მიღების შემდეგ სავსებით დაივიწყეს „ბნელი შარმი“ და სრულიად გაუაზრებლად, ღიად აჩვენეს ოჯახებისა თუ სხვათა წინაშე პიროვნულ პასუხისმგებლობას მოკლებული სარკასტული სახე.

სიუჟეტში პრობლემის კულმინაციური სცენა ისე განვითარდა, რომ ცოლქმრული და ოჯახებს შორის დრამა მეტად დინამიკურად, მწვავე დრამატიზმით, შეიძლება ითქვას, კომიკურადაც გაგრძელდა.

ერთი მხრივ, ვნახეთ ცოლ–ქმარი, რომელთა თანაცხოვრებაშიც დომინანტი ქალი უპირობოდ სთხოვს პასუხს „დამნაშავე“ ოჯახსა და მის შვილს, ხოლო ქმრის დამყოლი ბუნება უფრო ლოიალურ, უხერხემლო და შესაბამისად, მათ არამდგრად თანაცხოვრებას წარმოაჩენს.

მეორე მხრივ, კი ოჯახი, რომელშიც ადვოკატ მამას მოჩვენებითად აუღია პასუხისმგებლობა მოძალადე შვილის, მეუღლის, საზოგადოების წინაშე და ყველგან საკუთარ სამსახურებრივ საქმეს აყენებს წინა პლანზე, მაშინ, როცა მისი მეუღლე თითქოს სავსეა ვალდებულებებით, მაგრამ დაცლილია მორალური ფასეულობებისაგან.

ამ ორი ოჯახის ჩვენებით რეჟისორმა არ დაგვიმალა დღევანდელობაში ადამიანებს შორის ურთიერთობისას არსებული მანკიერებანი — პირიქით, აკადემიური სიმშვიდიდან ისტერიკამდე მისულ პერსონაჟთა თამაშით დაგვანახა ის, რაც ხშირად გარედან არ ჩანს.

დღეს მსახიობებს მაყურებელი სთხოვს ნამდვილი ადამიანის ჩვენებას — მზერაში, მოძრაობაში, სიტყვაში, სიჩუმეშიც კი, რითაც უნდა შეძლოს შექმნას სცენური სიმართლე, რომელიც ხშირად რეალობაზე უფრო რეალურია. დაგანახოს ის, რაც ჩვენს ცხოვრებაში უხმოდ ტრიალებს და მაყურებლის გულსა თუ ცნობიერებაში დაბადოს განსაკუთრებული სიმძაფრე საკუთარი თუ საზოგადოების თვითკრიტიკულად გადააზრებისა.

სპექტაკლში „ომის ღმერთი“ მსახიობების საშემსრულებლო ხელოვნება იმაზე ბევრად მეტი იყო, ვიდრე ნათამაშევი როლი. თითოეული მათგანის რთულ და წინააღმდეგობრივ სახეში იკითხებოდა შინაგანი სინატიფის, ემოციური ინტელექტისა და ცხოვრების ღრმა გაგების ერთიანობა, ამიტომაც მათ მიმართ მაყურებელს დარჩა გრძნობა პატივისცემისა. პატივისცემა იმ თავდადებისთვის, პროფესიული დისციპლინისა და შრომისთვის, რაც მსახიობში სცენის მიღმა სუნთქავს.

და მადლიერება — იმ განცდებისთვის, რაც მათ ამ სპექტაკლის წარმოდგენით მნახველში ხელოვანების ზეიმად აქციეს.

დღევანდელ სამყაროში, სადაც მოჩვენებითობა ჭეშმარიტებას ფარავს, თერჯოლის თეატრალურმა დასმა დატოვა ის სივრცე, სადაც ყოველ მაყურებელს კვლავ შეუძლია დაინახოს რეალობა და შეგვახსენოს, რომ ყველაზე რთულ დროსაც, ადამიანი რჩება ადამიანად, თუკი ჯერ კიდევ შეუძლია განიცადოს.

შეიძლება ითქვას, ეს სპექტაკლი იყო არა მარტო ოჯახის, არამედ დღევანდელი საზოგადოების პორტრეტი — სადაც ამოიცნობა, თუ როგორ ზიდავს მხოლოდ ფემინური მხარე ემოციურ შრომას, რომლითაც ჩუმად, თუმცა მტკივნეულად მიმდინარეობს ოჯახის დაშლა და საზოგადოების დაცემა.

მნიშვნელოვანი და საჭირო ინიციატივა

თერჯოლაში მოქმედ ორგანიზაციებს შორის ჩატარდა სამოყვარულო ტურნირი მინი ფეხბურთში.

ამ ტურნირის შესახებ მერიის კულტურის და სპორტის სამსახურიც ხელმძღვანელმა მაკა ასათიანმა ინტერნეტ სივრცეში ასეთი პოსტი გამოაქვეყნა: **„მადლობა იდეის ავტორს ბატონ მანუჩარ რობაქიძეს, კიდევ ერთი ლამაზი ტრადიციის დამკვიდრებისათვის ჩვენს კოპწია მუნიციპალიტეტში;**

მადლობა ორგანიზაციების ადმინისტრაციებს ტურნირში აქტიური ჩართულობისთვის და მეგობრობისთვის;

მადლობა თერჯოლის სპორტის სასახლეს, ირაკლი ჩხეიძეს და მის გუნდს ტურნირის ხელმძღვანელობისთვის;

მადლობა ნუნუ მარაქველიძეს მერიის სპორტის მიმართულების სპეციალისტს შრომისთვის.

დასაწყისისთვის იყო 12 გუნდი, რომელთა რიცხვი მომავალში აუცილებლად გაიზრდება

ვულოცავ საპრიზო ადგილზე გასულ გუნდებს გამარჯვებას!

ჩვენ ჯანსაღი ცხოვრების წესი გვაერთიანებს“.

ეს მინი ტურნირი მართლაც კარგად იყო ორგანიზებული და დაძაბულიც გამოდგა. ინიციატორებს ანუ მერიას, პირადად მერს დიდი სურვილი და მონდომება ჰქონდა, რომ ტურნირი მერიის ადმინისტრაციას მოეგო, ამისათვის პირადად ჩაერთო თამაშში, მაგრამ...

პირველი ჩემპიონი ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენელთა გუნდმა მოიპოვა, მეორე ადგილი საკრებულოს, მესამე ადგილი კი სახელოვნებო განათლების გუნდებმა.

გამარჯვებულებს და პრიზიორებს გადაეცათ ფულადი ჯილდოები და მედლები.

ჩემპიონატი მინი ფეხბურთში

3 ივლისს, თერჯოლაში საქართველოს მინი ფეხბურთის ჩემპიონატი ჩატარდა.

ჩემპიონატი საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციის ინიციატივით გაიმართა, კამპანიის „არა ნარკოტიკის" ფარგლებში.

ჩემპიონატის პირველ ეტაპზე მუნიციპალიტეტის 15 გუნდი მონაწილეობდა. გამარჯვება სოფელ რუფოთის გუნდმა მოიპოვა, რომელსაც თასი, მედლები და ფულადი პრიზი გადაეცა.

ტურნირი ტარდება ოლიმპიური სისტემით, გამარჯვებული გუნდი შემდეგ ეტაპზე იასპარეზებს რეგიონულ და ეროვნულ დონეზე.

ჩემპიონატის მთავარი მიზანი ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და სპორტის მეშვეობით ნარკოტიკებზე უარის თქმის წახალისებაა. სპორტული ღონისძიების მხარდამჭერი გახლდათ თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

გილოცავთ! მაია კუპატაძე რობაქიძეს

ადამიანის ცხოვრებაში ყველაზე დიდი ჯილდო იმ ადამიანების სიყვარული და დაფასებაა, ვის გვერდითაც ის ცხოვრობს, ვისთანაც ცხოვრების მანძილზე შეხება ჰქონია, სწორედ ასეთი ხალხისგან დიდი სიყვარულით მოლოცვის წერილია ეს. უაღრესად კეთილ, გაჭირვებულის დამხმარე და სუფთა გულის ადამიანს, მაია კუპატაძე რობაქიძეს 60 წლის იუბილეს ულოცავენ მეგობრები და ახლო მეზობლები, სოფელ გოგნიდან: ლალი ისაკაძე, რიტა რობაქიძე და მარინა ჯიხვაშვილი; ტყიბულის მეზობლები: იზო ოსიპოვი, დარეჯან სამაკაშვილი და მანანა ასანიძე; თერჯოლის მეზობლები: მანანა ჯმუხაძე და დარეჯან რობაქიძე, ასევე იტალიელი მეგობრები, უსურვებენ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ნუგზარ (ტუკნი) ბარდაველიძე - 79

79 წელი არც თუ ისე ცოტაა, რომ რამე კარგის გაკეთება ვერ მოასწრო და არც თუ ისე ბევრი, რომ ხვალინდელ დღეზე არ იფიქრო.

შენ ის კაცი ხარ ჩვენო ტუკნი, რომ წლებს არ უშინდები. შემართებით ხარ და ყოველ წუთს შეგიძლია იყო იქ, სადაც მეგობრებს სჭირდები, შრომა-გარჯით თუ შენი განუყრელი ქართული დოლით...

მრავალჟამიერ შენ...

მრავალჟამიერ შენს ოჯახს...

შენი უმცროსი მეგობრები ბარდუბნიდან

ნინის მომავალი წარმაჯებების მოლოდინში

მშობლებმა, ხუთი წლის ასაკიდან, ცოტა მოგვიანებით ნახშირღელის საჯარო სკოლამ შეამჩნიეს, რომ ნინი ჩუბინიძე სპორტით, კერძოდ, ტანვარჯიშით იყო დაინტერესებული. ხუთი წლის ნინი ქუთაისის მარიამ ყუფარაძის სახელობის ტანვარჯიშის მე-20 სპორტულ სკოლაში მიიყვანეს მშობლებმა. სკოლის დირექტორმა პაატა უგულავამ გულთბილად მიიღო ინტერესიანი გოგონა, ხოლო მწვრთნელმა ლალი შარაშენიძემ მალე აღმოაჩინა, რომ ნინის ჰქონდა არა მარტო ინტერესი, ან მონდომება, ან ნიჭი, არამედ სრული და ყოველმხრივი შესაძლებლობა გამხდარიყო წარმატებული.

ნინი ჩუბინიძე ნახშირღელის საჯარო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლეა. საგანმანათლებლო რესურსცენტრის პროექტის „ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში აქ ღია გაკვეთილი ჩაატარა შორენა მუმლაძემ და ნატალია მიქაბერიძემ. საინტერესო და მაღალი დონის იყო გაკვეთილი, აქტიურობდნენ მოსწავლეები, გამოირჩეოდა ნინიც. მისი ერთ-ერთი აქტივობისას სკოლის დირექტორმა ვაჟა ბუიღლიშვილმა თქვა, რომ, ნინი საქართველოს ჩემპიონია აკრობატიკაშიო.

დავინტერესდი და ისევ შევხვდი სკოლის პედაგოგებს, ნინის მშობლებს.

ნინის ათი წელი და ხუთი გამარჯვება

გამარჯვება პირველი—ქუთაისის შიდა სასკოლო შეჯიბრება აკრობატიკაში—პირველი ადგილი.

გამარჯვება მეორე-ბაღდათის მუნიციპალიტეტის ღია პირველობა აკრობატიკაში—პირველი ადგილი.

გამარჯვება მესამე—დასავლეთ საქართველოს რეგიონალური პირველობა აკრობატიკაში—მეორე ადგილი.

გამარჯვება მეოთხე—საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწის თენგიზ ბოლქვაძის სახელობის ტურნირი სპორტულ აკრობატიკაში—მესამე ადგილი.

გამარჯვება მეხუთე—საქართველოს პირველობა აკრობატიკაში—პირველი ადგილი.

და გაიხარეს ნინი ჩუბინიძის მშობლებმა, სკოლამ, ტანვარჯიშის მე-20 სპორტულმა სკოლამ, განსაკუთრებით მისმა დირექტორმა და მწვრთნელმა.

წარმატებები ნინი ჩუბინიძეს, უნდა დაველოდოთ მის მომავალ გამარჯვებებს, რაც ძალიან მალე იქნება და არა მარტო საქართველოს პირველობაზე.

ჟუჟუნა ცხადაძე

გაზეთ „თერჯოლის“ რედაქციის თანამშრომლები იუწყებიან უახლოესი მეგობრის

თამაზ ცერცვაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

„გეკაფოთ რაც ულრანია, აგევსოთ რაც ხარვეზია“...

გალაკტიონი

წელსაც დიდი სურვილი გვქონდა, რომ ჩვენს გაზეთს ტრადიციული სამახსოვრო გაგვეკეთებინა ჩვენი საჯარო სკოლების 2025 წლის კურსდამთავრებულებისათვის...

ჯერ კიდევ ორი წლის წინ გადავწყვიტეთ, რომ გულწრფელ მილოცვასთან ერთად, კარგი იქნებოდა, თუ ყველა კურსდამთავრებულთა ჯგუფურ იმ სურათებსაც გამოვაქვეყნებდით, რომლებიც მათ ბოლო ზარის დღეს გადაიღეს... მაშინ ამ გადაწყვეტილებას კარგი რეზონანსი ჰქონდა...

წინა ნომერში შემოგთავაზეთ თუზის, ახალთერჯოლის, ზედა სიმონეთის, საზანოს, რუფოთის და გოგნის საჯარო სკოლების წლევანდელ კურსდამთავრებულთა ფოტოები, ამჯერად კი გთავაზობთ ალისუბნის №1, ღვანკითის, ნაგარევის, ქვედა სიმონეთის №1, ჭოგნარის და გოდოგნის საჭარო სკოლის კურსდამთავრებულთა ფოტოებს.

წარმატებების გზით გევლოთ!..

„თერჯოლა“

ალისუბნის №1 საჯარო სკოლა

წარმატებების გზით გევლოთ!!!

ქვ. სიმონეთის №1 საჯარო სკოლა

ღვანკითის საჯარო სკოლა

ჭოგნარის საჯარო სკოლა

ნაგარევის საჯარო სკოლა

გოდოგნის საჯარო სკოლა

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
RESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872